# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 20 მარტი, 2012 წელი.

№53 (6930)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## მაია ფანჯიკიძე კონტროლის პალატას ურჩევს სახელმწიფო მოხელეების პრემია-ხელფასებით დაინტერესდეს



2

## შავი გვირისტით ნაკერი „ყინწვისის საქმე“ სტრასბურგისთვის მზადდება



თუკი ბრალდებულებს იარაღი არ ჰქონდათ, როგორ აპირებდნენ შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას?!

3

## „შევხვდებით პროკურატურაში!“

4

## ღარიბი ქვეყნის მდიდარი ლიდერები

5

## აფხაზეთს სპეციალური წარმომადგენელი „გამოუწერეს“

8

## რუსეთი იმაზე მეტად ვერ დაგვაზარალებს, ვიდრე დაგვაზარალა 2008 წლის აგვისტოს ოკუპაციით?!

## ჟამი შრომისა, ჟამი დასვენებისა...



11

რა ხდება?!

## წიკლაური ადასტურებს, მაჭავარიანი უარყოფს...

### ნაციონალები: „გამარჯობა, იარაღო!..“



„ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი ალასანიამ დასავლეთ საქართველოში გასამხედროებული ძალების ჩამოყალიბების შესახებ, ამ რამდენიმე დღის წინათ, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

ალასანიამ ამ დაჯგუფებებთან დაკავშირებით კითხვები დასვა. კერძოდ იგი დაინტერესდა – რატომ ყალიბდება გასამხედროებული ჯგუფები და ვინ აიარაღებს მათ, რატომ აქვთ იარაღი მუდამ თან ამ ადამიანებს და რატომ ელოდებიან ისინი რაღაც კონკრეტულ მოვლენას?

**ნუგზარ წიკლაური:**

– სამეგრელოში მხოლოდ რეზერვისტების მომზადება ხდება, რაც გამჭვირვალე პროექტია და ქვეყნის ყველა რეგიონში ხორციელდება.

პროექტს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს და ადამიანები ნებაყოფლობით გადიან ერთკვირიან სწავლებას და შემდეგ სახლში უიარაღოდ და ფორმის გარეშე ბრუნდებიან.

**მიხეილ მაჭავარიანი:**

– პოლიტიკოსმა საკუთარ სიტყვებზე პასუხი უნდა აგოს. დარწმუნებული ვარ, ბატონი ირაკლი მტკიცებულებებსაც მოაყოლებს. ასეთი რამეების ჰაერზე ლაპარაკი არ შეიძლება. საქართველოში არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფება არ არსებობს და ვერც იარსებებს. ეს ჩვენი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ჩვენ დავამთავრეთ საძმოებისა და „მხედრიონის“ ეპოქა.

ბრიფინგი



# მაია ფანჯიკიძე კონტროლის პალატას ურჩევს სახელმწიფო მოხელეების პრემია-ხელფასებით დაინტერესდეს

**„ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ორშაბათის ტრადიციული ბრიფინგით გაზაფხული მიულოცა ჟურნალისტებს და დაამატა: იქნებ ნათია მოგელაძემაც გაიღიმოსო... „არა? მზეც არ მოქმედებს მასზე?.. ძალიან მეცოდება“...**

შემდეგ კი კონტროლის პალატის გოლოდროინდელი „საქმიანობა“ მიმოიხილა: „ისინი ჩვენს მხარდამჭერებსა და აქტივისტებს, და არა მარტო მათ, აპოლიტიკურ ადამიანებსაც უწყობენ საყოველთაო დაკითხვას, დაშინებისა და გაუგონარი მეთოდების გამოყენებით დაკითხვისას ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, აშინებენ, და ამ ადამიანების თქმით, იქცევიან ისე, როგორც არ ექცევიან ვინმეს ციხეშიც კი.

ღირსების შემლახავი მეთოდებით აიძულებენ მათ ისეთი რამ ათქმევინონ, რაც ბუნებაში არ არსებობს – დაშინება, გაშიშვლება, შეურაცხყოფა, ორ, სამ მეტსაათიანი დაკითხვები“.

მაია ფანჯიკიძის თქმით, ეს არის „სრულიად უკანონო და ეს ტერორი ყოველგვარ გონივრულ ზღვარს სცილდება“.

პრესსპიკერს სჯერა, რომ ამის ჩამდენნი ვერაფერს ვერ მიაღწევენ. „ეს არის პანიკური შიში სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისა, რომ არჩევნებში ისინი დამარცხდებიან, მაგრამ ჩვენ ყველა აქტივისტს დავიცავთ. მათ მოვუწოდებთ, რომ არ შეშინდნენ, გააგრძელონ საქმიანობა. ეს ყველაფერი უპასუხოდ არ დარჩება“.

მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ გასულ კვირას ისინი შეხვდნენ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს: „ჩვენ მათ წარვუდგინეთ ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც გვაქვს ამ დაკითხვების შესახებ – ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ მოგელაძის მოადგილე ამირანაშვილი საქართველოს თითოეულ ქალაქში სხვადასხვანაირად აწერს ხელს. ეს იმას ნიშნავს, რომ უწყებები გაყალბებულია, რადგან არ არის კონტროლის პალატის ოფიციალურ ბლანკზე, არა აქვს თარიღი, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებისგან მიღებულ ქაღალდს ენდო“.

მაია ფანჯიკიძის განმარტებით, როდესაც მოქალაქეები კანონიერად არ გამოცხადდნენ დაკითხვაზე, მათ მიაკითხეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებიდან და სისხლის სამართლის საქმის აღძვრით დაემუქრნენ. ეს არის სრულიად უკანონო ქმედება და ლახავს ადამიანის უფლებებს. ამას გამოეხმაურა „ემნესტი ინტერნეიშენალი“, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები. ამ საკითხზე ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ჯონ ბასის განცხადებაც.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ყველაფერი ასე არ დამთავრდება და ყველა აგებს პასუხს იმ უკანონობის წინაშე, რასაც სჩადიან ჩვენი მხარდამჭერების მიმართ“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, მაშინ, როდესაც ხელისუფლება იქექება კერძო პირის ბიძინა ივანიშვილის ჯიბეში და იკვლევს, ვის რამდენი ხელფასი აქვს, ვინ რამდენი პრემია მიიღო... სჯობს იმას მიხედოს, როგორ განკარგავს სახელმწიფო ბიუჯეტს. მაია ფანჯიკიძის თქმით, **ნიკა გილაურის ხელფასი 51 ათასი ლარია, ხოლო პრემია – 75 ათასი ლარი; შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ეკატერინე ზღულაძეს 35 ათასი ლარი აქვს ხელფასი, ხოლო პრემია – 72 ათასი ლარი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილს 49 ათასი ლარი აქვს ხელფასი, ხოლო პრემია – 78 ათასი ლარი.**

„ქართული ოცნების“ კოალიციის წევრებისა და ბიძინა ივანიშვილის მიერ კერძო ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ პირთა ხელფასს ბევრად აღემატება იმ სახელმწიფო მოხელეების ხელფასი, რომლებიც ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ. საკითხავია, რატომ არ ინტერესდება ამ თემებით კონტროლის პალატა, რად აინტერესებს კერძო პირი ბიძინა ივანიშვილი, პირადი ხელშეკრულების საფუძველზე რას უხდის თავის იურისტებს, მრჩევლებს, კონსულტანტებს?“, – კითხულობს მაია ფანჯიკიძე.

მისი თქმით, კიდევ უფრო მეტი დანაშაულია, პირადად მიხეილ სააკაშვილის მიერ ბოლო ორი წლის მანძილზე 105 მილიონი ლარის დახარჯვა. „იგი თავს უფლებას აძლევს საზოგადოებას არ განუმარტოს, თუ რისთვის, რაში დაიხარჯა ეს ფული“.

სწორედ ამ ფაქტების გამო პოლიტიკურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საგანგებო განცხადება გააკეთა, რომლის შინაარსი გააცნო საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლება ყველა ამ უსამართლობას სჩადის საბოლოოდ ერთი დიდი უკანონობის ნიადაგის მოსამზადებლად, კერძოდ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვის ვადის ამოწურვამდე დარჩა მხოლოდ 20 დღე (ახლა უკვე ნაკლებიძ. „ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი კანონიერი საფუძველი, უარი უთხრას მას საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე, ამიტომაც ბიძინა ივანიშვილისთვის დიდი ოდენობით ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებით და სხვა ე. წ. სამართალდამრღვევების აღმოჩენის გზით ხელისუფლება ცდილობს, ხელოვნურად შექმნას საფუძველი, რომ ბიძინა ივანიშვილი საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის და ამიტომ არ ანიჭებს მას საქართველოს მოქალაქეობას“...

დიპლომატებთან შეხვედრის გარდა ბიძინა ივანიშვილი და პოლიტიკური კოალიციის სხვა ლიდერები ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი და კახა შარტავა შეხვდნენ რადიო „თავისუფლების“ ხელმძღვანელობას – პრეზიდენტ სტივენ კორნის და ვიცე-პრეზიდენტ ჯული არაგონას.

ბიძინა ივანიშვილმა სტუმრებს სთხოვა საქართველოში სიტყვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობა, ისაუბრა ამის აუცილებლობაზე და გააცნო მას არსებული პოლიტიკური ვითარება და ისიც, თუ როგორ აშუქებენ მოვლენებს ნაციონალური არხები.

**ნატა ნიბლაძე**

პროექტი – „კარდაკარ“

# ხელისუფლება სიებით მანიპულირებას ველარ შეძლებს



**საქართველოში არჩევნებისთვის სამზადისი აქტიურ ფაზაში შედის. ამის მაგალითია ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიისა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ერთობლივი პროექტი „კარდაკარ“, რომლის პრინციპია, საგანგებოდ გადამზადებულმა ადამიანებმა კარდაკარ შემოიარონ ყველა ქალაქი, რეგიონი და ამგვარად დააზუსტონ ამომრჩეველთა სიები. ამჯერად სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ პროექტ „კარდაკარისთვის“ შექმნილი სახელმძღვანელოს წარდგინება გაიმართა.**

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ 3 თვეა სამუშაოები დაიწყო. ამის განსახორციელებლად არსებობს ორი გზა – ერთია, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან შესაძლებელია ინფორმაციის მიღება, და მეორე (უფრო სანდო და იმედის მომცემიძ – კარდაკარ ჩამოვლის პრინციპი.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის ხელმძღვანელის მამუკა კაციტაძის განცხადებით, „კარდაკარ“ არის ერთადერთი პროექტი, რომლის განხორციელების შემდგომ, ხელისუფლებას სიებით მანიპულირების საშუალება ფაქტობრივად აღარ ექნება.

პროექტი „კარდაკარ“ 20 აპრილიდან იწყება და 10 ივნისამდე გასტანს. უშუალოდ პროექტის დაწყებამდე, პირველ რიგში, იწყება სამუშაოები იმ 11100 ადამიანის გადასამზადებლად, რომლებიც ამომრჩეველთა სიებს დააზუსტებენ. სწორედ ამ ადამიანების სწავლებას ემსახურება სახელმძღვანელო „კარდაკარ“, რომელიც საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა, სახელმძღვანელო უშუალოდ ცენტრის ხელმძღვანელმა ნათია ზაალიშვილმა წარადგინა.

იმისთვის, რომ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს, აუცილებელია, პირველ რიგში, ყველა ამომრჩევლის შეყვანა სიაში. ამ საქმეს კი მოემსახურება 38 ტრენერი, რომელთა გადამზადება სახელმძღვანელოთი მოხდება 3 დღის ვადაში. ამის შემდეგ 38 ტრენერი, გადაამზადებს 11100 რეგისტრატორს, ისინი უშუალოდ შემოივლიან მთელს საქართველოს კარდაკარის პრინციპით და სიებს დააზუსტებენ. პროექტის მასშტაბები ძალიან დიდია – 11 რეგიონს და 73 საარჩევნო ოლქს მოიცავს.

ნათია ზაალიშვილის განცხადებით, მათი ცენტრის მიერ გადამზადებული ადამიანები პროფესიონალები, მიუკერძოებლები და ანგარიშვალდებულები იქნებიან. ისინი იმედოვნებენ, რომ მაღალკვალიფიციურ დონეზე მოხდება ამომრჩეველთა მომსახურება, რაც საბოლოოდ 100-პროცენტიანი თუ არა, 100-პროცენტიანთან მიახლოებულ შედეგს მოგცემს.


ამონარიდები რეგისტრატორის დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქციიდან

**ლია გრიგოლია**

ინფორმაცია

## ოზურგეთში ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის პროცესი განახლდა

**კონტროლის პალატა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ოპოზიციური პარტიების რეგიონული ოფისების წარმომადგენლებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევას განაგრძობს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი იუწყება, პროცესი ოზურგეთში გუშინ, 11 საათიდან განახლდა. ოზურგეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში ლანჩხუთის ის 7 მცხოვრები დაიბარეს, რომლებიც მანამდე კონტროლის პალატის უწყების მიღებისას არ გამოცხადდნენ.**

**„თავისუფალი დემოკრატების“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ელგუჯა ჩხაიძის განცხადებით, კონტროლის პალატის წარმომადგენლები ფინანსური საკითხებით დაინტერესდნენ. ჩხაიძე ახსნა-განმარტებას მათ 40 წუთის განმავლობაში აძლევდა.**

**„პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კითხვა არ დაუსვამთ. დაინტერესდნენ, როდის, რამდენი გადმომირიცხეს და რაში დავხარჯე“, – აღნიშნა ჩხაიძემ.**

**ამასთან, „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტის ცნობით, ოზურგეთის პოლიციის სამმართველოში იკითხება ლანჩხუთელი ირინა მდინარაძეც, რომელიც კონტროლის პალატის უწყების მიღებისას თბილისში იმყოფებოდა და ახსნა-განმარტების მისაცემად არ გამოცხადდა.**

## ბათუმიდან სიმბოლურ თანხას გადაურიცხავენ

**„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, „ქართუ ბანკის“ ბათუმის ფილიალიდან კოალიცია „ქართულ ოცნებას„ სიმბოლურ თანხას გადაურიცხავენ.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ რეგიონული პოლიტიკისა და ეროვნული უმცირესობების თემატური ჯგუფის წევრმა ასლან ლორთქიფანიძემ განუცხადა, ასამდე მხარდამჭერი თვითორგანიზებით, სიმბოლურ თანხას – ერთ ლარს „ქართული ოცნების“ ანგარიშზე შეიტანს.**

**„საქართველოს კონტროლის პალატის, ანუ ხელისუფლების მცდელობა, დააშინოს მოსახლეობა და ოპოზიციური ელექტორატი, ამაოა. ამის დასტური ეს აქცია იქნება. კანონი საქართველოს მოქალაქეებს აძლევს უფლებას, წლის განმავლობაში ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის ანგარიშზე 60 ათას ლარამდე შემოწირულობის სახით შეიტანოს. ჩვენ ამ კანონით მინიჭებულ უფლებას გამოვიყენებთ მიუხედავად იმისა, თუ რამდენ უწყებას გამოგვიგზავნის ქალბატონი მოგელაძე სააკაშვილი-ადეიშვილის დავალებით“, – აღნიშნა ასლან ლორთქიფანიძემ.**

**მისივე ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ გაზეთების დარიგებაც მთელი რეგიონის მასშტაბით გაგრძელდება.**

**„ეს აქციაც მიმართულია კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის უკანონო და უსამართლო ღონისძიებების გასაპროტესტებლად“, – აღნიშნა ასლან ლორთქიფანიძემ.**

## ფრიდონ თოდუა ჭიაბერაშვილს სადაზღვევო კომპანიების დავალიანებებით დაინტერესებას სთხოვს

**ამის შესახებ თოდუამ გუშინ ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე, ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.**

**მისი თქმით, კომიტეტის სხდომამდე ის კლინიკის ხელმძღვანელებს შეხვდა, რომელთა მიმართაც სადაზღვევო კომპანიებს სოლიდური დავალიანებები აქვთ.**

**„იქნებ მოვიფიქროთ რამე“, – მიმართა თოდუამ ჭიაბერაშვილს.**

**ზურაბ ჭიაბერაშვილმა კი აღნიშნა, რომ პრობლემების გასაცნობად, ის როგორც კლინიკის ხელმძღვანელებთან და მედპერსონალთან, ასევე სადაზღვევო კომპანიებთანაც გეგმავს შეხვედრას.**

**თუმცა როგორ აპირებს სადაზღვევო სექტორსა და კლინიკებს შორის შექმნილი პრობლემების მოგვარებას, ჭიაბერაშვილს არ დაუკონკრეტებია.**

ინტერპრესნიუსი

## უსწორო სამართალი

# შავი გვირისტით ნაკერი „ყინწვისის საქმე“ სტრასბურგისთვის მზადდება

თუკი ბრალდებულებს იარაღი არ ჰქონდათ, როგორ აპირებდნენ შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას?!



**შესაძლოა, საქართველოდან გაგზავნილი კიდევ ერთი საქმე აღმოჩნდეს სტრასბურგში. საქმე, რომელსაც ქართული საზოგადოება „ყინწვისის სპეცოპერაციის“ სახელით იცნობს, თუმცა აღმოჩნდა, რომ მას ყინწვისთან არანაირი საერთო არა აქვს. თითქმის წელიწადის წინათ „სახელმწიფო გადატრიალების მოწყობისთვის შეთქმულ“ 24 ადამიანს უკვე მისჯილი აქვს, თუმცა მათი ადვოკატები იმ შავ გვირისტებზე საუბრობენ, რომლითაც ეს ამბავია შეკერილი... უფრო სწორედ, შეკოწიწებული. და მაინც, რასთან გვაქვს საქმე და როგორია სამართალი ქართულად, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.**

2011 წლის 26 მაისს, დილით ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, შსს-ს თანამშრომლებმა 24-კაციანი დაჯგუფება დააკავეს. დაკავების მიზეზად დასახელდა შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების შესაცვლელად. ეს ის დროა, როცა „სახალხო კრების“ აქტივისტები და მხარდამჭერები აქციებს მართავდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ. სპეცოპერაცია ფართოდ გაშუქდა ტელევიზიებით და გავრცელდა სპეცოპერაციის დროს ამოღებული იარაღის ვიდეოკადრები. შსს-ს მაღალჩინოსნები სიუჟეტებში აცხადებდნენ, რომ დაკავებულები შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ. ტელევიზიებით გავრცელებულ ინფორმაციებში სახელმწიფო გადატრიალების დამკვეთებად სახელდებოდნენ მოსკოვში მცხოვრები ყოფილი თანამდებობის პირები, რომლებსაც ამ ჯგუფთან დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდათ. შსს-მ ისე წარმოაჩინა, რომ 2011 წლის მაისის საპროტესტო აქციების დროს რუსეთის სპეცსამსახურები ამ ჯგუფის დახმარებით გეგმავდნენ შეიარაღებულ გადატრიალებას. გავრცელებულ ინფორმაციებში ყინწვისში დაპატიმრებულთა ხელმძღვანელებად ფიგურირებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების ყოფილი მინისტრები – თემურ ხაჩიშვილი და იგორ გიორგაძე, „რუსი და ქართველი ხალხების ერთობის“ ფონდის პრეზიდენტი ვლადიმერ ხომერიკი, ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი, რომელიც იმ დროს სულ სხვა საქმეზე იძებნებოდა და რუსეთს აფარებდა თავს.

რამდენიმე დღის წინათ ადამიანის უფლებათა ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე კი არასამთავრობო ორგანიზაციებმა 2011 წლის 26 მაისს ე. წ. ყინწვისის სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული 24 მსჯავრდებულის გათავისუფლება მოითხოვეს, რადგან მათი თქმით, საქმეში პრაქტიკულად არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც დაკავებულთა დანაშაულს დაადასტურებდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა **უჩა ნანუაშვილმა** ვრცლად ისაუბრა „ყინწვისის საქმეში“ არსებულ დარღვევებზე. ის ამბობს, რომ დაკავებულები აწამეს და დააშინეს, რის გამოც უმრავლესობამ ითანამშრომლა პროკურატურასთან და იძულებით გააფორმა საპროცესო შეთანხმება.

უფლებადამცველთა შეშფოთებას იწვევს „ყინწვისის საქმის“ შემდგომი განვითარება: **„ყინწვისის სპეცოპერაციის შესახებ შსს-ს საიტზე თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2011 წლის 26 მაისს შსს-ს თანამშრომლებმა ყინწვისში დააკავეს შეიარაღებული დაჯგუფება 24 კაცის შემადგენლობით და ბრალდებულებმა დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს... დღეისათვის ასეთი შინაარსის ინფორმაცია შსს-ს საიტზე აღარ დევს, ხოლო პროკურატურა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საერთოდ უარყოფს ყინწვისის სპეცოპერაციას. სასამართლო პროცესზე პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყინწვისში არავითარი სპეცოპერაცია არ ყოფილა და ბრალდებულებიც არა ყინწვისში, არამედ თბილისში დააკავეს.**

**სისხლის სამართლის საქმის მასალებში „ეროვნულ სარწმუნოებრივი მოძრაობის“ ლიდერ ნიკოლოზ გოგუაძისა და სხვა ბრალდებულების დაკავების ვადის ათვლა დაწყებულია არა ყინწვისში დაკავების მომენტიდან, არამედ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში მიყვანიდან. როგორც მასალების შესწავლისას იკვეთება, სინამდვილეში, ნიკოლოზ გოგუაძე და სხვა ბრალდებულები მართლაც ყინწვისში დააკავეს, ოღონდ სპეცოპერაცია სერიოზული დარღვევებით ჩატარდა – ისე, რომ ადგილზე არც შესაბამისი ოქმი და სხვა დოკუმენტაცია არ შეუდგენიათ. ეს საბუთები პოლიციამ მეორე დღეს - 27 მაისს თბილისში შეადგინა და სიტუაცია ისე წარმოაჩინა, თითქოს მათი დაკავება მოხდა თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ 24 ადამიანი ყინწვისიდან თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში იძულებით კი არ მიიყვანეს, არამედ საკუთარი სურვილით მივიდნენ „მოწმის სტატუსით“,** – აცხადებენ ადვოკატები.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულებს იარაღის მთელი არსენალი ჰქონდათ და შეიარაღებულ გადატრიალებას ამზადებდნენ. სინამდვილეში, სასამართლოზე წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით, 24 დაკავებულს შორის იარაღი მხოლოდ ერთს, ამჟამად უკვე გასამართლებულ ყოფილ პოლიციელს მიხეილ ცილიკაშვილს აღმოაჩნდა. იგი დაცვის სამსახურის წარმომადგენელი გახლდათ და კანონმდებლობის თანახმად, ტაბელური იარაღის შენახვის უფლება ჰქონდა. სასამართლო პროცესზე საქმეში სხვა არანაირი იარაღი არ ფიგურირებდა. ჩნდება ლოგიკური კითხვა, რაზეც პროკურატურამ სასამართლო პროცესზე პასუხი ვერ გასცა: თუკი ბრალდებულებს იარაღი არ ჰქონდათ, როგორ აპირებდნენ შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას?

ადვოკატები იმაზეც საუბრობენ, რომ დაკავებულებს სხეულის მძიმე დაზიანებები აღენიშნებოდათ, განსაკუთრებით – ნიკოლოზ გოგუაძეს, რომელიც სასტიკად იყო ნაცემი და ნაწამები. ეს კარგად ჩანს იმ ე. წ. აღიარებით ვიდეოჩვენებაშიც, რომელიც ოპერატიულად გაავრცელეს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულმა ტელევიზიებმა. ამ კადრებში ნიკოლოზ გოგუაძეს უჭირს ლაპარაკი, სახეზე და თითებზე ეტყობა მძიმე დაზიანებებისა და წამების კვალი, დათრგუნულია ფსიქოლოგიურად.გოგუაძის გარდა, სხეულის დაზიანებები და წამების კვალი აღენიშნებოდათ სხვებსაც. თუმცა, მას შემდეგ, რაც პროკურატურასთან ითანამშრომლეს და საპროცესო გარიგება გააფორმეს, ჩვენებაში აღნიშნეს, რომ მათ თითქოს კი არ სცემეს, არამედ დაზიანებები ყინწვისში ყოფნისას მიიღეს: ზოგმა ხეზე ფეხის წამოკვრით, ზოგმა მანქანაზე თავის ჩამორტყმით, ზოგმა წაქცევით.

საბოლოო ჯამში, გოგუაძისა და კეშელავას გარდა, ყველა დაკავებულმა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. თუმცა, ამის მიუხედავად, განსაკუთრებული შეღავათი არც ერთს არ უგრძვნია. დამატებით სასჯელად პირობითი მსჯავრი ყველას შეეფარდა, ერთს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, უმრავლესობას კი 4, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2011 წლის 12 აგვისტოს ნიკოლოზ გოგუაძისა და ოლეგ კეშელავას სასამართლო პროცესიც დასრულდა. ნიკა გოგუაძეს ორი ბრალდების – შეთქმულების მოწყობისა და იარაღის უკანონოდ ტარების საფუძველზე, 12 წლით პატიმრობა მიესაჯა, ოლეგ კეშელავას კი – 8 წლით. ნიკოლოზ გოგუაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს. მისი ადვოკატები საქმეს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ, ხოლო ამის შემდეგ სტრასბურგს მიმართავენ. პატიმრების დიდი ნაწილი თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ძირითადად, დუმილს ამჯობინებს. ეს უკანასკნელები ფიქრობენ, რომ ამ საქმის დეტალების გახმაურებით და პრეტენზიების გამოთქმით კიდევ უფრო დაიმძიმებენ მდგომარეობას.

რაც შეეხება რუსეთში მყოფ დამკვეთებს, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, არც ერთი ეს პირი შემდგომში სისხლის სამართლის საქმის მასალებში აღარ ფიგურირებს. მათი სახელების გამოყენება შსს-ს მხოლოდ პიარისთვის დასჭირდა. მათზე არც ძებნაა გამოცხადებული და ცალკე წარმოებად არც სხვა საქმეა გამოყოფილი. საინტერესოა, რომ ცოტა ხნის წინათ, კერძოდ – 2012 წლის 20 თებერვალს შსს-მ ვალერი გელბახიანი დააკავა 2008 წლის ბრალდებასთან დაკავშირებით, რაზეც იგი იძებნებოდა. გელბახიანი კი გირაოს წესით სასამართლო დარბაზიდან მალევე გაათავისუფლეს ისე, რომ ყინწვისის საქმესთან დაკავშირებით მისთვის ბრალიც არ წაუყენებიათ.

**აქედან გამომდინარე, საქმის მასალებიდან არ მტკიცდება მოსკოვში გადახვეწილი ყოფილი მაღალჩინოსნების კავშირი ყინწვისში დაკავებულ ადამიანებთან. შესაბამისად, არ არსებობს „შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების“ დამკვეთი და სავსებით შესაძლებელია, მსგავსი რამ არც იგეგმებოდა. უბრალოდ, ხელისუფლების მიზანი იყო პოლიტიკურად აქტიური ჯგუფის განეიტრალება და მათი დისკრედიტაცია,** – აღნიშნავენ უფლებადამცველები. მათ უკვე მიმართეს საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, რომ 2011 წლის 26 მაისს ყინწვისში დაკავებული 24 ადამიანის მიმართ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალოს დაუსაბუთებლად და უკანონო პატიმრები გათავისუფლდნენ საპატიმროებიდან.

**„მსგავსი რეპრესიები შესაძლოა, ნებისმიერ უდანაშაულო მოქალაქეს შეეხოს,- ამბობს უჩა ნანუაშვილი, – ბრალდებაში პირდაპირ წერია, რომ ეს ადამიანები შეიკრიბნენ ყინწვისის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე და გადაწყვიტეს შეიარაღებული გზით ხელისუფლების დამხობა, რაშიც ხელი უნდა შეეწყო ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და ცხინვალის რეგიონიდან გადმოსულ 2000 კაცს, ეროვნებით რუსსა და ქართულ ენაზე მოლაპარაკეს. სასამართლო პროცესზე შევეცადეთ გაგვერკვია, ვინ იყო ეს 2000 კაცი, როგორ შეარჩიეს ამდენი ქართულად მოლაპარაკე რუსეთის მოქალაქე და საქართველოს საზღვრის რომელ მონაკვეთთან დაფიქსირდა ამ რაზმის გადმოსვლის მცდელობა. ამ კითხვებზე პროკურატურას პასუხი არ ჰქონდა. ამ 2000-კაციანი შეიარაღებული რაზმის შესახებ ინფორმაციას არც ერთი სამართალდამცავი ორგანო არ ადასტურებს“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის“ წარმომადგენლის **ნანა კაკაბაძის** თქმით, ეს საქმე კლასიკური მაგალითია, თუ როგორ დევნის საქართველოს ხელისუფლება ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით: **„ეს ადამიანები, იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა პოლიტიკაში მოსვლის ინტერესი, აღმოჩნდნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი“,** – აცხადებს ის.

საინტერესოა, რა ბედი ელის „ყინწვისის საქმეს“, მაგრამ ხელისუფლება, მით უფრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებადამცველთა მოთხოვნებს რომ რეაგირების გარეშე დატოვებს, ფაქტია. ამდენად ეს საქმეც გაგრძელებას უდავოდ სტრასბურგში ჰპოვებს...

**თეა მოსია**

## ამბობენ, მართალია?!



# ვაი შენ, ჩემო თეატრო!

**წავიდა „ოქროს ხანა“, წავიდა ის დრო, გიგანტების საყურებლად რომ მივდიოდით რუსთაველის თეატრში... ჰოდა, დღეს საქმე იქამდეც კი მისულა, როგორც რადიო „პალიტრაში“ „ქართული აკადემიის“ წევრი, რეჟისორი ნუკრი ქანთარია ამბობს: „ხელშეკრულება დაიდო რუსთაველის თეატრისა და რესტორნების ქსელს შორის, რომლის თანახმად, ნებისმიერ ფულიან კაცს შეეძლება, თავის შვილს ქორწილი გადაუხადოს მცირე დარბაზში თავისი ორკესტრით და მერე იტრაბახოს, აი, ჩემი შვილის ქორწილი იყო რუსთაველის თეატრში“...**

**– საიდან მოიგონა ბატონმა ნუკრი ქანთარიამ ეს აბდაუბდა?!. მაგას ურჩევნია, სპექტაკლები დადგას, – გვეუბნება ამ საკითხით დაინტერესებულთ რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა.**

**ხოლო ნუკრი ქანთარია ზაალ ჩიქობავას ასე პასუხობს: „თუკი ყოველ საღამოს „ნიჭიერებისა“ და „უნიჭოების“ საღამოებისთვის ქირავდება სახელოვანი რუსთაველის თეატრი და იგი ფილარმონიას დაემსგავსა, რატომ არ შეიძლება, რომ აქ ქორწილებიც გადაიხადონ თბილისელებმა?!“**

**მოკლედ, როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და, ვნახოთ, მართლა ქირავდება თუ არა ხორავას, ვასაძის, სერგო ზაქარიაძის და სხვა ტიტანების ნავსაყუდელი ქორწილებისა და ღრეობებისათვის.**

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ნაციონალური მარაზმი




# „შეხვედრებით პროკურატურაში!“

**„პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით დაფინანსების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, რასთან დაკავშირებითაც დაბარებული ხართ ახსნა-განმარტების მისაცემად“,** — ასეთია კონტროლის პალატის უწყება, რომელშიც მითითებულია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე დაბარებულებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, წარადგინონ მტკიცებულებები, ისარგებლონ ადვოკატის მომსახურებით. თუმცა, ამავე კანონში გაწერილი უფლება-მოვალეობის შესრულება დასაკითხად დაბარებულ პირებს არავინ მისცა.

**„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობები, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით და ა.შ.“** — წერია კანონში.

არავინ იცის რა წერია საქმის მასალებში. არც ის, როდის დაიწყო საქმის წარმოება და რამდენი ადამიანია პასუხისგებაში მიცემული. ცნობილია მხოლოდ ის, რომ კონტროლის პალატა ყოველდღე ათობით ადამიანს უგზავნის ერთსა და იმავე შინაარსის წერილს და დაკითხვაზე იბარებს.

**„უწყებაში ბევრი დარღვევაა. პირი მიცემულია ადმინისტრაციულ წარმოებაში და არ არის კონკრეტულად მითითებული, რომელი კანონის და რომელი ნორმის შესაბამისად. მითითება არის ადმინისტრაციული სამართლდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლზე. ამ კოდექსის ეს მუხლი ნიშნავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ფაქტობრივად ეს ადამიანი, სისხლის სამართლის ტერმინი რომ ვიხმაროთ, ბრალდებულია ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ჩადენაში, მაგრამ რომელი სამართალდარღვევის ჩადენაში, ეს არ წერია. იქ არის მითითებული ასევე მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების შესახებ, მაგრამ ადმინისტრაციული კანონმდებლობა ასეთ ტერმინს არ იცნობს. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება არის სამოქალაქო სამართლებრივი ტერმინი. იგი შეიძლება ნახოთ სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლში, მაგრამ სამოქალაქო კოდექსთან კონტროლის პალატას, ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შეხება საერთოდ არა აქვს. ფაქტობრივად, კონტროლის პალატამ პასუხისგებაში მისცა თითოეული უწყების ადრესატი ისე, რომ კონკრეტული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ქმედების შემადგენლობა არ არსებობს“,** — აღნიშნა **presage.tv**-სთან საუბრისას იურისტმა სანდრო ბარამიძემ.

გურიაში კონტროლის პალატის უწყება გასულ კვირას 150-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. არც ერთ უწყებაში არ იყო მითითებული, თუ რომელ ქალაქში იყვნენ ეს ადამიანები დაბარებულები ახსნა-განმარტების მისაცემად. მხოლოდ ქუჩის დასახელება და ნომერი იყო მინიშნებული. ყველა უწყება ერთმანეთის ქსეროასლი იყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კონტროლის პალატამ მხარის სამივე მუნიციპალიტეტში გამგეობის ოთახები ითხოვა. დაუდგენელი მიზეზების გამო, სამივე მუნიციპალიტეტში კონტროლის პალატამ დასაკითხად გამგეობის კულტურის სამსახურის ოთახი გამოიყენა.

**დაკითხვების ერთკვირიანი სერია ლანჩხუთიდან დაიწყო, სადაც კონტროლის პალატა ორი დღის განმავლობაში, 11-12 მარტს კითხავდა ლანჩხუთელებს.**

ლანჩხუთის გამგეობის მესამე სართულზე არ შეუშვეს „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი ლალი იმედაშვილი და ოპერატორი. ისინი რამდენიმე წუთით კანცელარიაში გააჩერეს და შემდეგ შენობა დაატოვებინეს.

**დაახლოებით 50-მდე ჩოხატაურელს, კონტროლის პალატის უწყება 12 მარტს მოუვიდა. უწყების თანახმად, ეს ადამიანები წერეთლის ქუჩა №2-ში, 13 მარტს, პირველ სართულზე იყვნენ დაბარებულები, თუმცა, მითითებული არ იყო, რომელ ქალაქში. როგორც აღმოჩნდა, მოქალაქეები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში იყვნენ დაბარებული, თუმცა, არც გამგეობაში და არც საკრებულოში, არავინ იცოდა, თუ რა ხდებოდა.**

**14 მარტს, დაკითხვები ოზურგეთში გაგრძელდა და სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

კონვერტზე, რომელიც ოზურგეთელებს მიუვიდათ, არ ეწერა კონტროლის პალატის მისამართი, უწყებები არ იყო დაბეჭდილი კონტროლის პალატის ბლანკზე, არ იყო მითითებული რეგისტრაციის ნომერი და რეგისტრაციაში გატარების თარიღი.

**ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მსგავსად, კონტროლის პალატამ ოზურგეთის ადმინისტრაციული შენობაც დაიკავა, სადაც საკრებულო, გამგეობა, საჯარო რეესტრი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საოლქო საარჩევნო კომისია და გუბერნიაა განთავსებული. სამი დღის განმავლობაში ჟურნალისტებს შენობაში შესვლის საშუალება არ მისცეს.**

**— წელზემოთ გამხადეს და ისე შემამოწმეს. ვინც ახსნა-განმარტება ჩამომართვა, კახა საჯაიათი გამეცნო. მკითხა, რას ვსაქმიანობდი, არა მარტო მე, არამედ ჩემი ოჯახის თითოეული წევრი. შიგადაშიგ მაფრთხილებდა, თუ რაიმეს დავმალავდი და არ ვიტყოდი, ეს ჩემს საწინააღმდეგოდ იქნებოდა გამოყენებული მას შემდეგ, რაც პროკურატურაში დამიბარებენ. სულ ათამდე ხელწერა შევაგროვე, არ დამიმალავს და ვუთხარი.** — აღნიშნა ერთ-ერთმა დაკითხულმა.

**კონტროლის პალატის ვოიაჟი გურიაში ამით არ დასრულებულა. პოლიცია დღემდე აქტიურად კითხავს იმ ადამიანებს, რომლებიც კონტროლის პალატის დაკითხვაზე არ გამოცხადდნენ.**

**presage.tv-ის ინფორმაციით, ამ ადამიანების დაკითხვები რამდენიმე დღეში ისევ განახლდება, ოღონდ პროკურატურაში. ჩვენი წყაროს თქმით, საქმე უკვე შეკერილია და რამდენიმე პირი, შესაძლოა ცრუ ჩვენების მიცემისთვის და ფაქტების დამალვისთვის დააკავონ.**

ნატო გოგელია

◉ სამეგრელოს მხარე

# ანაკლიური შეზღუდვები დარჩელზეც გავრცელდა

**საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების მიერ პოლიტიკური სუბიექტების უკანონო დაფინანსების მოტივით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შენობაში მოწყობილმა „განკითხვის დღემ“ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს რეგიონებში ნაციონაები კიდევ უფრო აძლიერებენ შიშს, რომელმაც ისედაც მოიცვა მოსახლეობა. ამიტომაც ითხოვს საზოგადოება „ქართული ოცნებისაგან“ უფრო მეტ გააქტიურებას და არააპელირებას მხოლოდ ერთ — არჩევნების დღეზე.**

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნონა თოლორაიას განცხადებით ისინი აუცილებლად გაითვალისწინებენ საზოგადოების მოთხოვნას. **„ქართული ოცნება“ არის შანსი ამ ქვეყნის გადარჩენისა. მშვიდობიანი, არჩევნების გზით უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, იმაზე დიდი იარაღი, როგორიც ჩვენი ხმაა ჯერ არ გამოუგონიათ, ხალხის აზრს მეც ვეთანხმები. ერთ დღეზე აპელირება მართლაც აბსურდულია, ამიტომაც ჩვენ აქტიური ქმედება არ შეგვიწყვეტია, ვაპირებთ უფრო მეტ გააქტიურებას, რასაც მოყვება არჩევნებამდე გამარჯვება. რამდენიმე დღეში მოსახლეობა უფრო დაინახავს ჩვენს აქტიურობას. აქტიურობა უსაფუძვლო არ უნდა იყოს. ჩვენს კოალიციას საზოგადოებაც უნდა დაუდგეს გვერდით. აქტიურობის შესაძლებლობა არა მარტო ჩვენს აქტივისტებს, არამედ ყველას უნდა მიეცეს. უნდა შევქმნათ რწმენა, რომ ერთად გავიმარჯვოთ“,** — აღნიშნა ნონა თოლორაიამ.

ქალბატონი ნონა უკმაყოფილოა ცენტრალური და ადგილობრივი ტელეჟურნალისტების „შემოქმედებით“. **„პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდნენ „რუსთავი 2“, „იმედისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები, ხოლო ადგილობრივი ტელეკომპანია „ოდიშის“ ჟურნალისტები კი გამოცხადდნენ, მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ გამოცხადებას, არასოდეს მათი მომზადებული მასალა ეთერში არ გასულა. ეს ტელევიზია ხომ ზუგდიდის გამგებლის საკუთრებაა. ასე რომ, ვართ საინფორმაციო ვაკუუმში,** — თქვა ნონა თოლორაიამ.

რაც შეეხება ანაკლიის მოსახლეობის პრობლემებს, რომელსაც კარგად იცნობს ნონა თოლორაია, მისი განმარტებით ვითარება კიდევ უფრო გართულდა.

**— ორ წელზე მეტია ანაკლიაში შეჩერებულია მოსახლეობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების — მიწის, სახლკარის დაკანონება, საჯარო რეესტრში გატარება, ყიდვა-გაყიდვა , ქონების ბანკში ჩადება და ა.შ. ანაკლიას სოფელ დარჩელის ტერიტორიაც დაემატა და ანალოგიური შეზღუდვები იქაც ვრცელდება. მოსახლეობას საკუთარი ქონების განკარგვის უფლება ჩამორთმეული აქვს. ზუგდიდის საჯარო რეესტრს, რომელსაც განკარგავს სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა— ამონაწერის გაცემის უფლება არა აქვს,** — აცხადებს ნონა თოლორაია.

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსახლეობა წართმეული მიწების სანაცვლოდ ფულად კომპენსაციას მიიღებს, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება, მათ კონკრეტულად არ გააჩნიათ ინფორმაცია, როგორ და როდის მიიღებენ ამ კომპენსაციას, თუმცა იციან, რომ ეს კომპენსაცია არ იქნება ადეკვატური და მათთვის მისაღები.**

# ზუგდიდში „შერიგების სახლი“ გაიხსნა

**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი), რომელიც თითქმის ათი წელია ეწევა აქტიურ საქმიანობას ქართველი და აფხაზი ნათესავების შეხვედრა-დაახლოებისაკენ,** ზუგდიდში სამეგრელო — აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს, ქართულ-აფხაზური ოჯახების ბაზაზე შექმნა მრავალფუნქციური ცენტრი „შერიგების სახლი“. **„ეს სახლი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს შესთავაზებს სხვადასხვა სახის მომსახურებას და ამ გზით კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართველების და აფხაზების დაახლოებას და ურთიერთნდობის აღდგენას“,** — აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.

მრავალფუნქციური ცენტრის „შერიგების სახლის“ მთავარი დანიშნულება იქნება კონფლიქტის ორივე მხარის მოსახლეობისთვის მათთვის სასურველი ინფორმაციის მიღება, რაც მთავარია მხარეებს შორის გაჩნდება ნდობის აღდგენის სურვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის ბაზაზე იმუშავებს უფასო სასტუმრო.

**„შერიგების სახლის“ პარალელურად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხთან დაკავშირებით გაიმართა სემინარი, რომლის თემა იყო ახალგაზრდების როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხებში“. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და სამეგრელოს რეგიონების ახალგაზრდები. პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მიერ.**

ლადო ქირია,
ზუგდიდი

◉ წკეპლიკა

# არც ფიცი და არც ბოლო...

**მხსნელი (საქართველოსი) და გამხსნელი (საავადმყოფოებისა, კლინიკებისა, პოლიკლინიკებისა, საზღვრებისა და სხვათა და სხვათა), სიდარბაისლითა და სიკეთით სახელგანთქმული პრეზიდენტი ჩვენი, რაიონებში რომ სამკურნალო დანიშნულების ობიექტებს ზედიზედ ხსნის, ირწმუნება და იფიცება: ისინი შეესაბამებიან თანამედროვე საერთაშორისო ნორმებსა თუ სტანდარტებს, აღჭურვილნი არიან უახლესი უცხოური აპარატურით და, რაც მთავარია, სათანადო კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალითო. ამაზე, რასაკვირველია, კვერს უკრავს ჯანდაცვის მინისტრი, საუმაღლესპირო ვოიაჟების თითქმის უცვლელი მონაწილე.**

**არადა, როცა რაიონებში უბედური შემთხვევები ხდება (ყველას ჯვარი ეწეროს) — ხანძარი იქნება, დაჭრა (ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით), მოწამვლა, შენობის ჩამონგრევა თუ სხვა რამ, დაშავებულები მაინც თბილისში ჩამოჰყავთ, ხან — დამწვრობის ცენტრში, ხან — ღუდუშაურის კლინიკაში, ხან მეცხრე საავადმყოფოში, ხან სადა და ხან სად...**

**თვითონ თბილისიც რომ არ არის, საბოლოო ჯამში, სრული სამედიცინო ნდობით აღჭურვილი ქალაქი?! აგრე რომ იყოს, რატომ გაემგზავრებოდნენ ქართველი დიდმოხელენი და მაღალხელფასიანნი საზღვარგარეთ ჯანმრთელობის შესამოწმებლად, საოპერაციოდ, მკურნალობის კურსის გასავლელად, „სააშიკოდ, სალაღობოდ, სანადიმოდ, სამღერელად...“ რატომ მოამშობიარებდნენ ძვირფას ცოლებს, მაგალითად, ვენაში და სიტყვაზე, 34 ათას დოლარად (როგორც ჩასაფრებული ენები ამბობენ! ისე, ღმერთმა მშვიდობით გაუზარდოთ უცხოეთში შობილი ნაშიერნი...).**

**დიახ, კვლავაც „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, რაც ჩვენს ძველებს სიზმრადაც არ მოელანდებათ...“ ყოველ შემთხვევაში აქ, ამ ჩვენს პატარა საქართველოში... ვფიქრობ, ახლა გასაგებია, თუ რატომ არც ფიცი მწამს და არც ბოლო მაკვირვებს...**

ბერდია ბედოიძე

№53. სამშაბათი, 20 მარტი, 2012 წელი.

ჩვენ

# ღარიბი ქვეყნის მდიდარი ლიდერები

**დაუჯერებელი რამ ხდება საქართველოში. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი ღატაკი და დაუსაქმებელია, საზოგადოების ერთი ნაწილი, უმთავრესად პოლიტიკოსები, სააკაშვილისა და ივანიშვილის პორტრეტების ძერწვით არიან გატაცებული. გააჩნია, მხატვარი ვინ არის, ზოგი იმათგანი ამ ორი დაპირისპირებული ლიდერის ფსიქოლოგიურ პორტრეტს იძლევა, ზოგი — სოციალურს, ზოგიც — ოჯახურ და ქონებრივ შტრიხებს აძლევს უპირატესობას. „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე, მაგალითად, გაზეთ „ალიასათვის“ მიცემულ ინტერვიუში, მათი პიროვნების სრულყოფილად წარმოსაჩენად, მსუყე-მსუყე „მეტაფორებს“ არ იშურებს. მისი დახასიათებით, „ივანიშვილი მეოჯახეა, სააკაშვილი — პირიქით; ეს სიტყვის კაცია, მიშა არის ფლიდი, ძირგავარდნილი აფერისტი; ეს ჭკვიანია, ის — დარტყმული, ცალფაზიანი და ცალტვინა; ბიძინამ თავისით მიაღწია ყველაფერს, მიშას პატრონები ჰყავდა, ხან ბიძამისის სათრევი იყო და ხან ვისი“.**

აი, დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ კი თავის „ისტორიულ გამოსვლაში“ პარლამენტის სხდომაზე მთავარი აქცენტი პრეზიდენტ სააკაშვილის კორუფციაში ჩართულობასა და ქონებრივ გაუმაძღრობაზე გადაიტანა. ამან ქვეყნის თავკაცი იმდენად გაანერვიულა, რომ თავი ველარ შეიკავა და სხდომიდან შურდულივით გავარდა. „სააკაშვილი დარბაზიდან ყვირილით გაიქცა, — იგონებს ახლა ჯონდი ბაღათურია, — და ისეთი ბრახუნი გაისმა, ეტყობა, გასასვლელში კისერი კინაღამ მოიტეხა. უკან დაცვა და მთავრობის წევრები გაეკიდნენ და ძლივს დააბრუნეს. მითხრეს, რომ კატეგორიულად უარს ამბობდა დარბაზში დაბრუნებაზე, სანამ ტრიბუნასთან ვიყავი. ბასის ხათრით ძლივს შემოუბრუნებიათ, რომელიც იმ დროს დარბაზში იყო“. ღმერთსა მადლი, რომ ამერიკის ელჩი დარბაზში აღმოჩნდა, თორემ ხომ შეიძლებოდა, გული აღარ მოებრუნებინა (გაქირიც ეხერხებაძ და უპრეზიდენტოდ დავრჩენილიყავით(!ძ.

ახლა, როცა ამ ხიფათს გადავრჩით, ალბათ, შეიძლება სრულიად გულდამშვიდებულმა დავსვა კითხვა: მაინც რა უთხრა ჯონდი ბაღათურიამ სააკაშვილს ისეთი, რომ პრეზიდენტს საკუთარი ქვეყნის „პატრონობაზე“ კინაღამ ხელი ააღებინა?!.

არაფერი ისეთი განსაკუთრებული არ უთქვამს, რაც რეალობას მოწყვეტილია და ხალხმა არ იცის. „ქართული დასის“ ლიდერმა **სააკაშვილი მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანად დაასახელა, განაცხადა, რომ ის და მისი ოჯახი პირადად აკონტროლებენ ქვეყანაში ოქროსა და ბენზინის ბიზნესს, მამა საქართველოს ყველა ბალნეოლოგიურ კურორტს ფლობს, დედა — უმაღლესი სასწავლებლების დიდ ნაწილს.** განა ისეთი რა ემცხეთა ამ ნათქვამიდან პრეზიდენტს, რომ იმ დღისით პირველად გაიგონა? მთელმა მსოფლიომ იცის, ერთეული დიქტატორების გარდა, პლანეტაზე არც ერთ პრეზიდენტს არ უცხოვრია ისეთი ფუფუნებით, როგორითაც ცხოვრობს ულატაკესი ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილი, არავის ჰქონია მისნაირი ძვირფასი სასახლე, არავის უყიდია საპრეზიდენტო „ბოინგი“ ასეულობით მილიონად, არავის აღმოჩენია ბიზნესის კეთების ისეთი „უნიკალური ნიჭი“, როგორიც სააკაშვილის ნათესავებსა და ოჯახის წევრებს. ასეთი „შექების“ შემდეგ, სააკაშვილი, იმის მაგივრად, რომ მადლიერი დარჩენილიყო, ოპონენტს, პირიქით, დაემუქრა — ახლავე დავურეკავ მამაჩემს, ხარისხიანი ტალახის აბაზანას მოგიმზადებენ და კარგა მაგრად დაგზელავენო...

გამოხდა ხანი და ჯონდიმ პრეზიდენტის სამამულიშვილო ნაღვაწიდან კიდევ ერთ „იაღლიშს“ გამოუჩხრიკა კბილი. ბაღათურიას განცხადებით, სააკაშვილს დეკლარაციაში მილიონი ლარის შემოსავალი აქვს დამალული. დოკუმენტი მაქვს, მილიონი მიიღო და არ ასახა დეკლარაციაში, არადა 1000 ლარზე მეტი თანხის საჩუქრად აღების უფლება არა აქვსო — ადანაშაულებს ოპონენტი. ამას კიდევ რა უჭირს, უფრო „დიდი ღლავის“ მითვისებაში სდებენ ბრალს სააკაშვილს რესპუბლიკელები. **პრეზიდენტმა ან უნდა თქვას, რაში დახარჯა ბოლო ორ წელიწადში ბიუჯეტის კუთვნილი 105 მილიონი ლარი, ან პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულისთვისო,** — აცხადებს რესპუბლიკელი დავით ონოფრიშვილი და სამართალდამცავებისგან ამ დანაშაულის გამოძიებას და გასაჯაროებას მოითხოვს.

თავის მხრივ არც პიარის ცნობილი დიდოსტატი სააკაშვილია გულხელდაკრეფილი, პრეზიდენტი ამ ბოლო პერიოდში ისე კლინიკას არ გახსნის (კლინიკებს კი, იცოცხლეთ, ყოველდღიურად ხსნისძ, ოპონენტების მოედანზე ხელხვავიანად არ გაილაშქროს. ამას წინათაც, წნორში ოპოზიციაზე მორიგი თავდასხმისას, მკაცრად და საჯაროდ განაცხადა, რომ **ხელისუფლებაში მძარცველების უკან დაბრუნებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. „ის, რასაც ახლა ვაკეთებთ, — თქვა სააკაშვილმა, — ისინი (იგულისხმება ივანიშვილის კოალიცია) ვერასოდეს გაიგებენ, რადგან ისინი გაზრდილები არიან როგორც მონები, როგორც სხვა ქვეყნის მსახურები. ბატონყმობა საქართველოში ველარასოდეს დაბრუნდება და ჩვენ აღარასოდეს ვიქნებით სხვა ქვეყნისა და სხვა ფეოდალების მონები“.**



ჯონდი ბაღათურიამ საქართველოს პრეზიდენტი გააშიშვლა, ნათია მოგელაძემ კი — სრულიად საქართველოს მოქალაქეები!

რაც შეეხება პრეზიდენტის ქონებრივ დეკლარაციასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს, სააკაშვილმა „ამ გაუგებრობაში“ სიცხადის შესატანად განაცხადა, რომ სამომავლოდ თავის დეკლარაციაში აუცილებლად შეიტანს ახალ ბათუმს, თბილისის ახალ უბნებს, ახალ გზებს, ზუგდიდის ახალ ცენტრს, ქუთაისის განახლებულ ცენტრს და ახალ პარლამენტს. მან იცის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჭირვებულია და ესეც ვალად აქვს შეტანილი თავის დეკლარაციაში(!ძ.

თუმცა რამდენად სწორად შეადგინა პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარი ქონებრივი დეკლარაცია, ამაში უკვე გადამწყვეტი სიტყვა კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის მთავარ არბიტრს ნათია მოგელაძეს ეკუთვნის. მისი ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ამბავი რომ ვიცი, არა მგონია პრეზიდენტს, მისი დიდი დამსახურებისა და მაღალრეიტინგულობის მიუხედავად, დეკლარაციაში დამალული შემოსავლები არ აღმოუჩინოს. ასე რომ, ადვილი მოსალოდნელია, სააკაშვილს მასში (დეკლარაციაშიძ დამატებით „ლაზიკის“ შეტანამაც მოუწიოს.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სააკაშვილის დეკლარაციის კონტროლის პალატის დონეზე „კორექტირება“, მაგრამ რადგან ჯონდიმ პრეზიდენტი საკმაოდ მოშილიფებული ფორმით გააშიშვლა, ამ ეტაპზე მისი უფრო ღია ფერებით გაშიშვლება აუცილებლობას აღარ საჭიროებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააკაშვილი ივანიშვილივით საკუთარ ფულს კი არა, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან აფცქვნილ თანხებს გეახლებათ და ამდენად მას (ხალხის ქონებასძ დაკარგვის საშიშროება არ ემუქრება(!ძ სრულიად განსხვავებული სურათი იხატება ივანიშვილის შემთხვევაში, როდესაც ფულის „ჰაიჰარად ყრას“ მიჩვეული ქველმოქმედი ღარიბებსა და უპოვართ ფულებს არსენასავით ურიგებს. არადა, ფაქტია, აღნაგობითა და მხარბეჭით სააკაშვილი უფრო მიემგვანება არსენას, ვიდრე ივანიშვილი.

როგორც ჩანს, ბატონი ბიძინა გარეგნულ ფაქტორებს არაფრად დაგიდევს, არც იმას, რაშიც ხელისუფლება მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით ედავება და თავს აშკარად საფრთხეში იგდებს. მაინც რას ედავება ნაცების „ერთიანი გუნდი“ მილიარდერ ბიზნესმენსა და ყველაზე რეალურ ოპონენტს — ბიძინა ივანიშვილს, არ იკითხავთ? ამომრჩევლების რუსული ბინძური ფულით წინასწარ მოქრთამვასა და მოსყიდვას, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი საწყალი მოსახლეობის კორუფციაში ჩათრევას. ამ მხარდამჭერებიდან ზოგმა ივანიშვილის კოალიციის მიერ გამოშვებული უფასო გაზეთი გაავრცელა, ზოგმა ბიზნესმენისათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მომხრეთა ხელმოწერები შეაგროვა და ამით ნებსით თუ უნებლიეთ თურმე ფინანსურ მაქინაციებში გაება. **ჰოდა არჩევნები გაყალბებისა და მოსყიდვისგან რომ დაიცვას, ხოლო ამომრჩევლები — ბინძური ფინანსური მაქინაციებისგან, ამიტომაც გადაწყვიტა ნაპროკურორალმა ნათია მოგელაძემ, რომელმაც კონტროლის პალატა პროკურატურის ფილიალად აქცია, ღიად და საჯაროდ ქალებს კაბები გახადოს, კაცებს — შარვლები და მთელი საქართველო გააშიშვლოს!**

რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი, ამას, რაც ახლა საქართველოში ხდება, აფასებს ოპონენტების მიმართ ყაჩაღი ხელისუფლების ძალადობად, რომელიც სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს. მისი განმარტებით, მმართველი პარტიის ამ მოქმედებას სახელად ჰქვია პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა და მეტი არაფერი. ღარიბ-ღატაკთა მოქალაქეების ჯიბეებში ქექვას, კონტროლის პალატას ურჩევნია ის გაარკვიოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემოსავლების 38 პროცენტის წარმომავლობა რატომ არის დღემდე ბურუსით მოსილი(?!ძ.

ხელისუფლების ამ გაუგონარ ძალადობაზე რა აზრისაა თავად ბიძინა ივანიშვილი? მართალია ისინი უკანონო გზით ცდილობენ ჩემს ოპონირებას, აცხადებს „ქართული ოცნების“ ლიდერი, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ იმდენად, რამდენადაც მათ ამ ბრძოლაში ნიღაბი ჩამოიხსნეს და თავიანთი ნამდვილი სახე გამოაჩინესო. ამ მხრივ ალბათ საყვედური არ ეთქმის ქალბატონ მოგელაძესაც, რომელიც თავის უკანონო, ისტერიული ქმედებით ივანიშვილის მხარდამჭერთა რიგებს შეთხელების ნაცვლად კიდევ უფრო ამრავლებს.

**ოთარ ხუციშვილი**

ენერგობაზარი

# ქვანახშირი, რომელიც სახლებს გაგვინათებს

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეტ-ნაკლებად დიდი ელექტროსადგურების აშენებას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელთა არგუმენტაცია საკმაოდ სოლიდური და დამაჯერებელია, ქვეყანაში ახალი 15 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის განხორციელება მოკლე ხანში დაიწყება. ამასთან, ცალკეა აღსანიშნავი, რომ უახლოეს დროში საქართველოში ასევე ყველაზე დიდი თბოელექტროსადგურის აშენებას აპირებენ, რომელიც ქვანახშირზე იმუშავებს.**

ტყიბულის ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგური გარდაბანში ახლო მომავალში საქართველო-თურქული 100 მილიონ დოლარის ინვესტიციის სახსრებით აშენდება. ამის თაობაზე სათანადო შეთანხმების მასალებს ცოტა ხნის წინათ ქართულ-აზერბაიჯანულ-თურქული ბიზნესფორუმის ფარგლებში მოეწერა ხელი. საქართველოს მხრიდან გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობას „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ წარმართავს, თურქეთის მხრიდან კი მას კომპანია „მისმან გრუპი“ წარუძღვება. თბოელექტროსადგურის მშენებლობა მოკლე ხანში დაიწყება და ორ წელიწადს გასტანს, რის შემდგომ გარდაბნის ელექტროსადგური ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას წელიწადში მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას შემატებს.

როგორც თავად „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“ აღნიშნავენ, გარდაბანში თბოელექტროსადგურის მშენებლობა ჩვენში არსებული ქვანახშირის საბადოების დამუშავების და ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდის მოთხოვნილებამ განაპირობა. ტყიბულის ქვანახშირზე მომუშავე გარდაბნის თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილს ექსპორტზე გაიტანენ, ნაწილს კი ადგილობრივ ბაზარს მიაწოდებენ. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ზომით გარდაბნის თბოელექტროსადგურისხელა სითბური ელსადგური საქართველოში ჯერ არასდროს აუშენებიათ.

გარდაბნის თბოელექტროსადგურის მწყობრში ჩადგომამდე ჯერ კიდევ ორი წელია დარჩენილი, მანამდე კი ქვეყანაში ამ ტიპის რამდენიმე ელსადგური ფუნქციონირებს — ესენია, კერძოდ, „მტკვარი ენერგეტიკა“ და „ჯი ფაუერი“.

აღსანიშნავია, რომ შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ „თბილსრესის“ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს, ხოლო მისი ორი ენერგობლოკი დღესდღეობით საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში მუშაობს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ეს ორი, დაძაბულ რეჟიმში მომუშავე ენერგობლოკი ჯერ კიდევ არცთუ შორეულ „ჩაბნელების ხანად“ ცნობილ დროში „თბილსრესის“ ყბადაღებული მე-9 და მე-10 ბლოკები იყო, რომელთა ბოლომდე შეკეთებას და გამართულად მუშაობის დაწყებას იმ დროს საშველი არა და არ დაადგა. აღნიშნული აგრეგატები მეტ-ნაკლებად სრულფასოვნად მას შემდგომ ამუშავდნენ, რაც 2003 წელს ისინი სხვა აქტივებთან ერთად ენერგოჰოლდინგმა „ინტერ-რაომ“ შეიძინა.

გარდა ამისა, გარდაბანში ასევე გაზოტურბინული ელექტროსადგური „ჯი ფაუერი“ მოქმედებს და მისი სიმძლავრე 110 მეგავატია. ამდენად, გარდაბნის ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგური ადგილობრივ ენერგეტიკულ პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის, რაც რაიონის სამეწარმეო ბაზარს უდავოდ წაადგება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ვითარება

# საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთი „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ გაჩნდება?

**ისედაც მიწებწართმეულ ქვეყანას კიდევ უფრო დაუძლურების უფლება აღარ აქვს. როგორც კი იგრძნობენ არაკეთილისმსურველები „ხელსაყრელ სიტუაციას“, მაშინვე თავს წამოყოფენ ხოლმე. გასაკვირი არ არის, რომ ხშირად ამ პროცესს ის ქვეყანა დირიჟორობს, რომელსაც საერთაშორისო სამართლის იგნორირებით, ქართული ტერიტორიები აქვს დაპყრობილი.**

**აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის შემდეგ, ჯავახეთი და ქვემო ქართლი მათთვის სათარეშოდ „მსუყე ლუკმად“ აღიქმება. ბოლო წლებში ამ რეგიონებში ანტისახელმწიფოებრივმა განწყობებმა შეუდარებლად იკლო. თუმცა, დაინტერესებული მხარე ცდას არ აკლებს, რომ ქვეყანა ახალი, რეალური საფრთხეების წინაშე დააყენოს.**

კერძოდ, რუსული გამოცემის „Новые хроники“-ის ინფორმაციით, **„ახალი სახელმწიფო, რომელსაც საქართველოსგან დამოუკიდებლობა სურს, შესაძლოა, თანამედროვე საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე, ეთნიკური სომხებით დასახლებულ ჯავახკის ისტორიულ რაიონში ჩამოყალიბდეს“.**

მისივე ცნობით, **„ადგილობრივი დიასპორა საქართველოს ნატოს სამხედრო ბლოკთან მიერთების კატეგორიული წინააღმდეგია და პრეზიდენტ სააკაშვილის ამ საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა, დამოუკიდებლობა გამოაცხადოს“.**

**„ნატოს წევრად გახდომით, საქართველო ავტომატურად თურქეთის მოკავშირე ხდება, რაც სომხებისა და სომხეთის ინტერესებისთვის მიუღებელია“,** — ნათქვამია „რუსეთში ჯავახკის დიასპორის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერი აგას არაზიანი აცხადებს, საქართველოს ნატოში გაწევრება სომხეთის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება:

**„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ქვეყანა რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, მოსკოვსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა კი ამჟამად, მსუბუქად რომ ვთქვათ, დაძაბულია. იმ შემთხვევაში თუ ჯავახკში სამხედრო ბაზები გაჩნდება, ისინი სომხეთში არსებული რუსული ბაზისკენ იქნება მიმართული. კერძოდ, კი გიუმრის 102-ე ბაზისკენ. სომხეთისა და რუსეთისადმი დამოკიდებულებაში კი ამის მეგობრულ ნაბიჯად განხილვა არ შეიძლება“.**

ცოტა ხნის წინათ, მოძრაობა „ჯავახკის რუსულმა დიასპორამ“ თბილისში „სურბ ნშანის“ ეკლესიაში მომხდარი ხანძრის გამო, რის შედეგადაც ტაძრის ერთ-ერთი სვეტი ჩამოინგრა, შეშფოთება გამოთქვა. ორგანიზაციამ მომხდარში საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა და ხანძრის გამომწვევი პირის დასჯა მოითხოვა.

„ჯავახკმა“ ასევე მოითხოვა, რომ აღნიშნული ტაძარი სომხეთის სამოციქულო ეპარქიას გადაეცეს:

**„თუ ეს ასე მოხდება, პირობას ვდებთ, რომ ტაძრის აღდგენისათვის საჭირო ფინანსებს ჩვენ მოვიძიებთ“,** — ნათქვამია „ჯავახკის“ განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ტაძარი დანგრევის პირასაა.

რაც შეეხება თბილისის „საგარეო-პოლიტიკურ კურსს“, სომხური მხარე გარკვეული ხეირის მიღებას აქედანაც ცდილობს. სომხური მედიის ინფორმაციით, ამერიკელმა კონგრესმენებმა პრეზიდენტ სააკაშვილს „ჯავახკი“ სომხების დახმარების თხოვნით მიმართეს.

როგორც „News.am“ იუწყება, სააკაშვილი აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში კონგრესმენებს ადამ შიფფსა და ჰოვარდ ბერმანს შეხვდა, რომელთაც პრეზიდენტს თხოვნით მიმართეს, **„ჯავახკების პრობლემას დიდი ყურადღება დაუთმოს“.** გაზეთ „Asbarez“-ის ცნობით კი, მიხეილ სააკაშვილმა, თავის მხრივ, **„მზადყოფნა გამოთქვა, კონგრესმენებთან იმუშაოს, რათა მომავალში ჯავახეთში დიდი რესურსები იქნას მიმართული“.** მისივე ინფორმაციით, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ **„სრულად უჭერს მხარს აშშ-ის დამატებით დახმარებას რეგიონში“.**

**„მე კმაყოფილი ვარ პრეზიდენტ სააკაშვილთან განხილვით. მან სრული მზადყოფნა გამოთქვა, ქართველი სომხებისთვის დამატებითი დახმარების აღმოჩენის შესახებ ჩვენს თხოვნას მხარი დაუჭიროს“,** — განაცხადა შიფფმა. თავის მხრივ, ბერმანმა აღნიშნა, რომ „საქართველოში სომხური სათვისტომოსთვის თანასწორი უფლებებისთვის მომავალშიც იბრძოლებს“.




თავის მხრივ, აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები „ბორჩალოს საზოგადოებრივ პარლამენტს“ ქმნიან. ამის შესახებ „რეგნუმს“ (ცნობილია როგორც „სომხების სააგენტო“ძ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა კონფედერაციის პრეზიდენტმა დაშგინ გიულმამედოვმა განუცხადა.

მისივე თქმით, „ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტის“ შექმნის იდეის განხილვის მიზნით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის რიგი შეხვედრები გაიმართა.

„საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანლების ეროვნული ასამბლეის“, „დიდი ერთობის ორგანიზაციის“, „საქართველოში თურქ ქალთა კომიტეტისა“ და „ბორჩალოს თურქ ახალგაზრდათა კავშირს“ შორის მოლაპარაკებების დროს მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ „ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტი“ უახლოეს პერიოდში შეიქმნება.

ამ მიზნით „ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტის“ სპეციალური ქარტიის მიღების შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული. ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი მსურველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნულ პარლამენტში ერთი ადამიანით უნდა იყოს წარმოდგენილი.

როგორც გიულმამედოვმა აღნიშნა, **„საზოგადოებრივი პარლამენტი ბორჩალოში მოქმედი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინირებას მოახდენს, რაც მათ პოლიტიკურ კონსოლიდაციას მოიტანს“.**

ცნობისთვის, „ბორჩალო“ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე იყო. სახელწოდება მომდინარეობს დებედის ხეობაში XVII ს-ში ჩამოსახლებული თურქმენული ტომის ბორჩალუსაგან. 1604 წელს შაჰმა აქ სახანო შექმნა, რომელიც XVIII ს-ში ქართლს დაუბრუნდა. 1880 წელს ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ბორჩალოს მაზრა ცენტრით დაბა შულავერში. იგი მოიცავდა წალკის, მანგლისის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის ტერიტორიას, აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე რაიონებს.

**ნიკა მეტრეველი**

◉ აკადემია

# ნარკოდანაშაული გაგვინახევრებია...

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მორიგ სხდომაზე ერთადერთი, თუმცა ფრიად საგულისყურო და მთელი კაცობრიობისათვის თავსატეხი საკითხის ნარკომანიის გარშემო იყო მსჯელობა. შეკრებას, საბჭოს წევრებსა და აკადემიის სხვა თანამშრომლებთან ერთად ბევრი მედიკოსიც ესწრებოდა — კერძოდ, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი. სტუმართა შორის გახლდათ პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელიც.**

„ნარკომანიის ფენომენი“ — ასე დაარქვა თავის მოხსენებას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გელა ლეჟავამ. აღინიშნა, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები კანონმდებლობის, ფინანსური სისტემის, სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით აქტიურად მუშაობენ წამალდამოკიდებულების გავრცელების შეზღუდვაზე; და მაინც, ძირითად მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ნარკოტიკების მოხმარების სტაბილიზაცია და არა საგრძნობი კლება. ამ თვალსაზრისით საქართველომ ბოლო 5 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა, რაც ახლახან ქვეყნის პრეზიდენტმაც გაახმიანა პარლამენტის ტრიბუნიდან; სახელდობრ, რომ ნარკოდანაშაულმა იკლო 53 პროცენტით და თვალშისაცემად შემცირდა 17 წლამდე ახალგაზრდებისაგან ნარკოტიკების მოხმარება. პოლიციამ მკვეთრად შეზღუდა შავ ბაზარზე ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა; მოზარდთა ნარკოპრობლემის კუთხით საგულისხმოა ის, რომ მათთვის შესაძლებელია თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება — აშენდა სპორტული მოედნები, ამუშავდა სპორტული სექციები, მხატვრული, ფოლკლორული წრეები, ახალგაზრდებს გაუჩნდათ უმაღლეს სასწავლებლებში უქრთამოდ და „უბლატოდ“ ჩარიცხვისა და წარმატებული სწავლის შემთხვევაში, საზღვარგარეთ განათლების გაგრძელების პერსპექტივა.

მიღწევების მიუხედავად, ნარკოპრობლემა საქართველოში რჩება დიდ სატკივრად. რუსეთთან ცხელმა თუ ცივმა ომებმა, უკონტროლო ტერიტორიათა არსებობამ, ეკონომიკურ-სოციალურმა და ზნეობრივმა ფაქტორებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს ნარკომანიის გავრცელებას და ქრონიკულ დაავადებად აქციეს ის, რისი დადასტურებაცაა, მაგალითად, 2009 წელს ქვეყანაში აღრიცხული 40 ათასი პრობლემური ნარკომანი.



ნარკოდანაშაულის განახევრება, რა თქმა უნდა, მაღალი შედეგია, თუმცა ეს არ ნიშნავს ნარკომანთა რაოდენობის განახევრებას: წამალდამოკიდებული კაცი ხომ ქრონიკული სნეულია, ყოველთვის ეძებს ასეთი შხამის მოპოვების გზებს და საამისოდ იმ წამლებსაც იყენებს, რომლებიც იყიდება აფთიაქებში და კონტროლებად ნივთიერებათა სიაში არ შედის, თუმცა მჟავების, ტუტეების, სხვა ქიმიურ ნივთიერებათა ზეგავლენით ადვილად იქცევა ნარკოტიკებად...

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ აკადემიამ საჭიროდ ჩათვალა აღნიშნული პრობლემის ირგვლივ სჯა-ბაასის გამართვა და რამდენიმე წინადადებისთვის რეკომენდაციის გაწევა. აი ზოგიერთი მათგანი:

1. ავადმყოფთა სოციალური რეაბილიტაცია პირველ რიგში მათ მკურნალობას გულისხმობს და დროული იქნებოდა საკანონმდებლო გადაწყვეტილება იმ ნარკომანთა მკურნალობის დაფინანსების თაობაზე, რომლებიც ჯარიმდებიან და მკურნალობას საჭიროებენ შემდგომი რეაბილიტაციით; 2. ოპიოიდებზე (ჰეროინი, ოპიუმი, სუბოტექსი და სხვაძ დამოკიდებულ პირთა რიცხოვნობა, ჩვენი პოლიციის მარჯვე მუშაობის შედეგად, გვარიანად იკლებს იმის გამო, რომ ეს ნარკოტიკები აღარ არის ხელმისაწვდომი. ნარკომანთა რიგები კი შეთხელდა, მაგრამ ბევრმა მათგანმა მიაშურა აფთიაქებს, საიდანაც გამოაქვთ წამლები შინაურ პირობებში ნარკოსტიმულარტორების დასამზადებლად. პრობლემური ნარკომანები სწორედ თვითნაკეთ სტიმულატორებს იყენებენ. ნარკოლოგიის ინსტიტუტს უნდა გამოეყოს გრანტი ამ საკითხის შესწავლის პილოტური ჯგუფის შესაქმნელად; 3. საქართველოს ბიუჯეტი არ ითვალისწინებს არც ერთი სახეობის ნარკოპრევენციის დაფინანსებას, რაც გასაგებია, ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ აუცილებელია ქვეყანაში ნარკოპრევენციის თუნდაც საწყისების დანერგვა; 4. აშშ-ში ყოველწლიურად, ევროპის ქვეყნებში სისტემატურად ტარდება ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა, საქართველოში კი არც ერთი სრულფასოვანი ამგვარი რამ არ გაკეთებულა. ნარკომანიასთან ხარჯეფექტური წარმატებული დაპირისპირებისთვის კი აუცილებელია მონაცემები ნარკომომხმარებელთა რიცხვის, სოციალური შემადგენლობის, ასაკის, მოხმარებული ნარკოტიკების სახეების, დაავადებათა სიმძიმის ხარისხის შესახებ.

პროფესორ გელა ლეჟავას კვალდაკვალ სიტყვა აიღო პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა, რომელიც დამსწრეთ ესაუბრა წამალდამოკიდებულებასთან, ნარკომანიასთან შეურიგებელი ბრძოლის წიაღ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უკვე გატარებულ თუ გასატარებელ არაერთ ღონისძიებაზე.

**გაცხოველებული დისკუსიის, კითხვა-პასუხის შემდეგ აკადემიურმა საბჭომ მოიწონა მოსმენილი მოხსენება და სთხოვა საქართველოს მთავრობას ნარკომანიის საწინააღმდეგო პრევენციული ნაბიჯებისა და ეპიდემიოლოგიური გამოკვლევის შესრულების დასაფინანსებლად, გრანტების სახით, თანხების გამოყოფა.**

**თამაზ ეზანოიძე**



# გაცოცხლებული ფრესკების მემატიანე

## სიტყვა მწერალ როსტომ ბექანიშვილზე

**„პოეტის ყოველი სტრიქონი ძარღვებიდან ჩამონაწრეტ სისხლის წვეთებს უნდა ჰგავდეს, რომელშიც კაცობრიობის ტკივილისა და ოცნების ბორბალი იბრუნებს“...**

ეს სტრიქონები, რომლებსაც ნებისმიერი დიდი მწერალი და მოაზროვნე დაუფიქრებლად მოაწერდა ხელს, ეკუთვნის როსტომ ბექანიშვილს, იმ შემოქმედს, ნიკო სამადაშვილს თუ დავესესხებით, მართლაც რომ შეღამებების საუკუნეში მოუწია ცხოვრება და ღვწა.

როსტომ ბექანიშვილი იმ ეპოქის პირმშო გახლდათ, იმ ეპოქის შვილი და ეს მის ნაწარმოებებსაც ეტყობა. თავისი წილი ღალა მანაც გადაუხადა ეპოქას...

თუმცა...

ეს თუმცა რომ არა, არც ეს წერილი დაიწერებოდა და არც ამ წერილის ავტორს მოუწევდა მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ჩაღრმავება.

საქმე ის გახლავთ, რომ თავის დროზე ჩემი ყურადღება მიიპყრო როსტომ ბექანიშვილის ერთმა პატარა ნოველამ, რომელსაც „ჭრელა უძილაური კრწანისში“ ჰქვია სახელად. ნოველის გმირი, ჭრელა, ის კაცი გახლავთ, რომელსაც დროის უკუღმართობამ აუმღვრია გონება და მიზეზთა და მიზეზთა გამო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლებში გამოიდო თავი და წითელარმიელებს შემოჰყვა საქართველოში... წლების მერე სიბერეშეპარებულს ხელისუფლებამ არ დაუკარგა ამაგი და შრომის მასწავლებლობა შესთავაზა სკოლაში. ისიც ასწავლიდა ბავშვებს ბარისა და თოხის გამოჭედვას და, ალბათ, ასე გალევდა წუთისოფელს, ერთ-ერთ მოწაფეს შესვენებაზე მისთვის რომ არ ეკითხა: „რა არის ეს დალოცვილი სამშობლო?.. ფერი აქვს თუ ხორცი?..სად იწყება და სად მთავრდება?“ ამ კითხვამ აურია თავგზა ჭრელას და მოსვენება დაუკარგა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ბავშვები თბილისში წამოლალა და სად მოიყვანა, იცით? სამასი არაგველის მემორიალს მიაყენა კრწანისში. ავტორი ისე ბუნებრივად, ისე ძალდაუტანებლად გადმოსცემს ერთი რიგითი ქართველის სულიერ კათარზისს, ზნეობრივ გარდასახვას, რომ სული შეგეკვრება ამის წამკითხავს. უამრავი ცოდვისაგან დამძიმებული ბერიკაცი თითქოს მხრებიდან ჩამოიფერთხავს წარსულის უმძიმეს ტვირთს და ახალგაზრდებს ჭეშმარიტ ღირებულებებს აზიარებს. მეტად შთამბეჭდავია ნოველის ფინალი: „ბიჭები გაჩუმებული მისჩერებოდნენ მარადიული ცეცხლის ალს, ფოლადის ჯამში რომ ირხეოდა და გამვლელი ვერ გაარჩევდა, ფრესკები გაცოცხლებულიყვნენ თუ ცოცხალი ბიჭები ქცეულიყვნენ ფრესკებად“. მართლაც რომ დიდებული ფინალია. იმ მარადიული ცეცხლის ალი, ალბათ, სამუდამოდ ჩაუსახლდათ სულში ჭრელა უძილაურის აღსაზრდელებს და კარგა ხნის შემდეგ იმ საოცარი მუხტით სავსენი იბრძოდნენ ქართული დროშების ქვეშ აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში.

მწერალმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, რაზე წერდა და რისთვის.

კრწანისის სევდა, კრწანისის ტრაგედია, სამასი არაგველის ვაჟკაცური, ქედუხრელი მსხვერპლთშეწირვა, როგორც ჩანს, როსტომ ბექანიშვილისთვის იმ საჯილდაო ქვად იქცა, რომელსაც მას შემდეგ არაერთხელ შეეჭიდა. გამომცემლობა „ნაკადულმა“ **„ერთი მოთხრობის“** სერიით გამოსცა მწერლის მოთხრობა **„სამასი არაგველი“**. ამ მოთხრობამ შემდეგ როსტომ ბექანიშვილის მრავალპლანიან რომანში „მშვიდობა სახლსა ამას“ დაივანა. ბოლოს კი შემოქმედის უმთავრეს ქმნილებაში – ტეტრალოგია „ნეტართა გრძელ ღამეში“ დაიდო ბინა.

კრწანისი, ერეკლე მეფე, სამასი არაგველი და არამარტო ისინი – აი, იმდროინდელი საქართველოს ყოფნა-არყოფნის, ივერთა მხარის ბედისა თუ უბედობის განმსაზღვრელი პირობები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ამ ნაწარმოებებში გაცხადდა მთელი სისავსით როსტომ ბექანიშვილის მწერლური ხელოვნება, საგნებსა და მოვლენებში ღრმად წვდომის, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსებსა და დეტალებში ჩაღრმავების, გამოკვეთილი სახეებისა და ტიპაჟის შექმნის, ისტორიული სინამდვილის მართლად და ცხადად გამოხატვის, ცარისტული რუსული იმპერიალიზმის არსში წვდომის ღვთივმომადლებული ნიჭი. კითხულობ **„სამას არაგველს“** და სული გეკვრება. მწერალი სულ რამდენიმე შტრიხით ახერხებს დახატოს საქართველოს თავს დატეხილი უბედურების მასშტაბები.

**„შავი ნაბდები აეფარა ზეცას, მთის წვერები ნისლმა გათანგა.**

**ქუჩბალახს ნამი ცრემლივით ეყარა და თეთრი ბურუსიდან მოძალებული მზე ყოჩივით აპირებდა ხევებზე გავლას.**

**შემღვრეული არაგვი ძალუმად ეხეთქებოდა მუხიან ნაპირებს“.**

ერეკლე მეფეს იმ დროისთვის უკვე ნაწვნევი აქვს ტოტლებენური **„ვაჟკაცობის“** შედეგი, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ყველაფერს ცდილობს, იქნებ ახლა მაინც მოალბოს რუსთა გული და დახმარების ხელი გამოაწოდებინოს. ამაოდ. საქართველოსა და რუსეთის დიპლომატიური გზავნილები სრულად წარმოაჩენს რუს დიდმოხელეთა ცინიზმსა და ეგოიზმს. გულდათუთქული ერეკლე საყვედურნარევ წერილს სწერს გენერალ გუდოვიჩს:

**„ჩვენ რომ ყოვლად მოწყალე დედოფლის მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწვეული ჯარებით მას (აღა-მაჰმად-ხანს) წინ აღვუდგებოდით, ანდა სხვა ხერხით დავიცავდით სამეფოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში“.**

ახლა პასუხი მოისმინეთ გაქსუებული გუდოვიჩისა:

**„ვიდრე აღა-მაჰმად-ხანი თავს დაესხმოდეს საქართველოს, მან ჯერ ბევრი ხანი უნდა დაიმორჩილოს, რომელთაგან ზოგიერთს წინააღმდეგობის სურვილიც აქვს, განსაკუთრებით, შუშის ხანს... ამიტომ მე ვერ ვხედავ საფრთხეს საქართველოსთვის“.**

არადა მტერი უკვე მერცხლის ერთ გაფრენაზეა საქართველოს სამანებთან. სისხლი გაგეყინება კაცს ასეთი პასუხის მოსმენისგან... კიდევ ერთი შტრიხი. საქართველოს ელჩი გარსევან ჭავჭავაძე გრაფ ბეზბოროდკოსთან აუდიენციას ითხოვს. გრაფი კი პეტერბურგში, იმპერატორის სასახლის სამეჯლისო დარბაზში ცეკვავს და აბა სად სცალია ან საქართველოსთვის, ან მისი წარგზავნილისთვის. გადაეცით, რომ ძალზე დაკავებული ვარ, – უბრძანებს ადიუტანტს, მერე ისევ თავისთან იხმობს და დაამატებს, – **„ასადილეთ და ისე გაისტუმრეთ“**. ასადილეთო, თითქოს გლახა მისდგომოდეს კარზე სამათხოვროდ და არა ერთმორწმუნე ქვეყნის შეჭირვებული დესპანი. ძნელია ამ სტრიქონების მშვიდად წაკითხვა და, მით უმეტეს, იმ მდგომარეობის გააზრება, რა დღეშიც იყო ჩავარდნილი ჩემი და თქვენი ქვეყანა, ბატონებო. მწერალი შთამბეჭდავი, მსუყე მონასმებით ხატავს არაგველთა სახეებს, მათ შემართებასა და ქედუხრელობას. თამნიაურები და ხოშერაულები, აფციაურები და ფადიაურები, ბუჩუკურები და მოლოდინები, ბექაურები და ღუდუშაურები, არაბულები და კაიშაურები... – თითოეული მათგანი გამოკვეთილად საგულისყურო სახეა, თითოეული მათგანის უკან მათი საფიცარი საფლავებია და ისინი უათკეცებენ ძალასა და ღონეს. ნახეთ რა ზუსტად აღწერს მწერალი მათი გულოვანების ერთ-ერთ უმთავრეს დვრიტას:

**„ნინიამ არ იცოდა, სად იყო თამარის საფლავი, მაგრამ თამარი რომ ახლა ყველა ხატსა და სალოცავში იჯდა, აფციაურმა ეს კარგად იცოდა და ამიტომ იმედი ჰქონდა შეწევნისა“.** დიახ, მწერალმა მოახერხა თითქმის მიკროსკოპული სიზუსტით ისე აღეწერა კრწანისის ტრაგედია, მისი გამომწვევი მიზეზები, რომ მკითხველი კიდევ ერთხელ გაეხადა თანამონაწილე იმ საშინელი მისტერიისა, რომლის უმწარესი შედეგების გამოსწორებას ორ საუკუნეზე მეტი დასჭირდა. დიახაც, მწერლის დამსახურებაა, რომ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, შემოდგომის იმ ნაღვლიან დღეებში უკვე მერამდენედ როგორ დაადგა ბედკრული საქართველო გოლგოთის გზას, როგორ ეცვა ჯვარზე ქრისტეს სახელით და ქრისტეს გულისთვის.

**„ნისლით თავწაკრულ მთებს დასხლეტოდა მზის ობოლი სხივი და ბილიკზე სატევარივით ელავდა“.**

ასე ამთავრებს როსტომ ბექანიშვილი თავისი ყველაზე დიდი ტკივილების დამტევ ნაწარმოებს და უზარმაზარ კითხვის ნიშანს სვამს.

როსტომ ბექანიშვილს მრავალი მოთხრობა ჰქონდა გამოქვეყნებული ისეთ წიგნებში, როგორიცაა **„გარეუბნელი მეზობლები“, „მოთხრობები“, „ზოდიაქოს ნიშანი“, „ლილოჭრელი“, „ერთტომეული“, „გულაღმა მოთიბულ ბალახზე“**. ამ კრებულებში მწერალმა დამაჯერებლად, სადად და უპრეტენზიოდ დაგვიხატა უბრალო ადამიანების ყოფა, მათი ტკივილი, სევდა თუ დარდი. არ შემიძლია ერთ მათგანს განსაკუთრებით არ შევეხო. **„ჯამბაზი“** – ასე ჰქვია მოთხრობას იმაზე, თუ როგორ ჩავა პროვინციულ ქალაქში ცირკი და როგორ ააფორიაქებს მის ერთფეროვან, ჭაობად ქცეულ, დამყაყებულ ცხოვრებას ჯამბაზი, კუზიანი, უშნო, დაგრეხილფეხება ჯამბაზიც კი პირს დაალებინებს მუდმივად ცარიელი კულტურის სახლის დრამწრის მსახიობ ნიკოს, ტაშისდაკვრას მონატრებულ ხელმოცარულ ადამიანს. როგორ მოუნდა ნიკოს **„ერთი საათით მაინც ჯამბაზად ქცეულიყო, უშნო და დაგრეხილი ფეხები გამობმოდა, სიბერის კუზს ბეჭზე ასვირინგებული არწივის ფრთები დაემტვრია, ბაგირზე, ერთხელ მაინც, მკლავებგაშლილს თამამად გაევლო და მერე... ჩამოვარდნილიყო მიწაზე და სასიკვდილოდ დამტვრეულიყო“**. მეტი რაღა უნდა დაეწერა ბატონ როსტომს, ამაზე დიდი პროტესტი რაღა უნდა გამოეთქვა საბჭოთა დიქტატურის წინაშე, სადაც ადამიანს კუზიან ჯამბაზად ყოფნა სანატრელი გახდენია...

ძალზე საგულისხმოა მოთხრობა **„ზარი“**, რომელშიც ავტორი აღწერს, თუ როგორ დაიტირა სოფელმა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოკედლებული უშვილძირო ხიზანი. ქართველთა კეთილშობილება, მათი ტოლერანტობა, სიკვდილის – საოცარი მისტერიის პატივისცემა მეტად ძუნწად არის დახატული, მაგრამ მკითხველი გრძნობს, თუ რისთვის ვუყვარვართ უფალს ეს ერთი მუჭა ხალხი, რა ძალამ და შემართებამ მოგვიყვანა დღევანდლამდე. ვაი რომ, ქართული სულის შემფასებელი ცოტაღაა ჩვენს ირგვლივ.

როსტომ ბექანიშვილის, როგორც მწერლის ერთ უმთავრეს ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მან ზედმიწევნით ზუსტად იცის, რასაც აღწერს. კითხულობ მწერლის რომანს **„უკანასკნელი გადასარბენი“** და შენს თვალწინ ცოცხლდება მიხაილოვოს – დღევანდელი ხაშურის წარსული, თავისი ქუჩაბანდებით, ჭუჭყიანი, გავერანებული შუკებით და ორღობეებით, წაქცევის პირას მყოფი ჯურღმულებით, რომლებსაც ძნელად თუ დაარქმევ საცხოვრისს... სხვა ნაწარმოებში გვალვისაგან, ზაფხულის სიცხისა და ხორშაკისაგან შეღონებული სოფელია დახატული, ისე ზუსტად აქვს მწერალს მოძებნილი ფერადები, რომ ამის წამკითხველი თავად გრძნობ, თუ როგორ გიშრება ყელი, როგორ წურწურით მოედინება ოფლი ხერხემალზე. აღწერს წისქვილს და აჯია მეწისქვილის ამბავს და მყისვე ახლად დაფქული ხორბლის სურნელი ტრიალდება შენს გარშემო. რომელი ერთი ჩამოვთვალო, ეს ყველაფერი ხომ მწერლური სიმწიფის, მწერლური ოსტატობის დასტურია და როსტომ ბექანიშვილიც ამ მადლით და მირონით იყო ცხებული.

როსტომ ბექანიშვილს რამდენიმე რომანი ჰქონდა გამოქვეყნებული (**„სამამულე რქა“, „ჩვენი უკანასკნელი თამაში“, „შურისგების კალო“, „მშვიდობა სახლსა ამას“, „ჰერცოგის ნადიმი“...**). სიცოცხლის მიწურულს იგი კვლავ მიუბრუნდა ამ რომანებს, დაწურა ისინი და ხელმეორედ ჩამოქნა. ასე შეიქმნა ტეტრალოგია **„ნეტართა გრძელი ღამე“**, რომელიც მწერლის სავიზიტო ბარათად გადაიქცა. ამ ტეტრალოგიაში შესული რომანები (**„მახარე, ძე იბერიისა“, „სამამულე რქა“, „მიწურვილ იყო ზაფხული“, „ეული ზარი ქარიშხალში“**) ფართო მხატვრულ ტილოს წარმოადგენს. მათ ერთმანეთთან ქართველი ხალხის ისტორიული ბედი აერთიანებთ, დიდ სახელმწიფოთა ნადავლად ქცეული ქართული სამეფოს მსხვრევის ეპოქიდან ვიდრე **XX საუკუნემდე.**

როსტომ ბექანიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების წიგნს **„იისფერი თოვლი“**, რომელიც თვალნათლივ ცხადყოფს თუ რა გემოვნებიან, ფართო თვალსაწიერის მქონე კრიტიკოსთან გვაქვს საქმე. ამ წიგნში ბატონი როსტომი განიხილავს გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგისა და კოლაუ ნადირაძის, იოსებ გრიშაშვილისა და გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანისა და ვალერიან გაფრინდაშვილის, გრიგოლ აბაშიძისა და რევაზ ინანიშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და ანა კალანდაძის, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის, სხვათა და სხვათა შემოქმედებას, განიხილავს საოცარი სიფაქიზითა და პროფესიონალიზმით. კრიტიკოსი წერდა, რომ პოეზიას ვერ დავაკისრებთ რეპორტიორის ფუნქციას, რომ მხატვრულ სიტყვას ისეთივე ფრთხილი მოპყრობა უნდა, როგორც ქირურგიულ ინსტრუმენტს, რომ ნაწარმოებს ერთდროულად უნდა ჰქონდეს სულიცა და სხეულიც. ნახეთ, როგორი უნდა იყოს პოეტი მისეული შეფასებით: **„ყველა ჭეშმარიტი პოეტის წილხვედრი დიდი პირადი ცხოვრება და დიდი ტრაგიზმია. პიროვნება უნდა ღირდეს იმად, რომ იგი პოეტად ღირდეს“. როსტომ ბეჟანიშვილი ილაშქრებდა პოეზიისგან დაცლილი, ობმოკიდებული, გარითმული სტრიქონების წინააღმდეგ.** ამ წიგნში ერთი წერილი გრიგოლ ჩიქოვანის მშვენიერ მოთხრობას „ტაგუს“ ეძღვნება, რომელშიც ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ აღმდგარი ქართველობის საარაკო ვაჟკაცობის ამბავია აღწერილი. ავტორი ასე ამთავრებს წერილს: **„გუგუნებენ ოდიშის ზარები და მათს გუგუნს თავისი გულისფეთქვა უნდა აუწყოს თითოეულმა, ვისაც ამ მრავალტანჯულ ქვეყანაში თვალი გაუხელია და შეჰყვარებია თვალშეუგამი ცა და ფრიალო კლდეები“...**

როსტომ ბექანიშვილი ამავე დროს მასშტაბურად მოაზროვნე მეცნიერიც გახლდათ. ნიკო ლორთქიფანიძის მრავალწახნაგოვანი და უაღრესად ფასეული შემოქმედება იქცა მწერლისა და მეცნიერის ლიტერატურული ინტერესების მთავარ წყაროდ. სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის, მის შემოქმედებით ნააზრევს მიეძღვნა ბატონ როსტომის როგორც საკანდიდატო (**„ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სტილი“** – 1965 წ.), ისე სადოქტორო (**„ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრება და შემოქმედება“** – 1972 წ.) ნაშრომები. ამავე დროს როსტომ ბექანიშვილი ერთნაირი გატაცებით იკვლევდა შოთა რუსთაველის ესთეტიკას და გრიგოლ ორბელიანის პატრიოტულ იდეებს, თანამედროვე ქართული პროზის თავისებურებებსა და ნოვაციებს...

ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. წლების განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორად, გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ კი – დოცენტად, თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების თეორიისა და ესთეტიკის კათედრის დოცენტად. 1976 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე როსტომ ბექანიშვილი იმავე კათედრის პროფესორი და აკადემიის პრორექტორი გახლდათ. სადაც კი ილვაწა ამ სანთელივით წმინდა და პატიოსანმა კაცმა, ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, კეთილშობილებისა და სათნოების განსახიერებამ. ამ სტრიქონების ავტორს შეუძლია ხატზე დაიფიცოს, რომ იშვიათად შეხვედრია ასეთი თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელიგენტი, რომლისთვისაც ბედნიერებას წარმოადგენდა სიკეთის უანგაროდ და უშურველად თესვა.

ესაა და ეს. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს წერილი მიმოხილვითი ხასიათისაა და მიზნად არ ისახავს მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში წვდომასა და კვლევას. უბრალოდ, როსტომ ბექანიშვილის დაბადების მე-80 წლისთავზე მინდოდა თქვენთვის შემეხსენებინა ერთი ჩინებული მწერალი, მოაზროვნე, მეცნიერი, მოღვაწე, ერისკაცი.

ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

**ზაალ ბოტკოველი**

## ◎ რას წერენ ჩვენზე

# აფხაზეთს სპეციალური წარმომადგენელი „გამოუწერეს“

**პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კრასნოდარის მხარის მეთაური ალექსანდრ ტკაჩოვი რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლად დანიშნა აფხაზეთში. იანვრის შუა რიცხვებში გუბერნატორი უკვე გახდა ამ რესპუბლიკის საპატიო მოქალაქე.**

თავის ახალ სტატუსს ალექსანდრ ტკაჩოვმა დანიშვნის დღეს, მიმდინარე წლის 16 მარტს, გაუკეთა კომენტარი. „დღეს პრეზიდენტმა რუსეთის ფედერაციის სპეციალურ წარმომადგენლად დამნიშნა აფხაზეთში. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რასაკვირველია, – დაწერა გუბერნატორმა. – მე, როგორც რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და აფხაზეთის საპატიო მოქალაქე მზად ვარ, გავაკეთო ყველაფერი, რომ ჩვენი ქვეყნები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს“. ერთმანეთის მეზობელი კრასნოდარის მხარე და აფხაზეთი მჭიდროდ თანამშრომლობენ. იანვრის შუა რიცხვებში ტკაჩოვი იყო რესპუბლიკაში, სადაც შეხვდა მის პრეზიდენტს ალექსანდრ ანქვაბს. რეგიონის ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს ითანამშრომლონ სოფლის მეურნეობის, მცირე ბიზნესისა და საკურორტო-რეკრიაციული სფეროების განვითარებაში. აფხაზეთს დაჰპირდნენ შესაძლებლობას, მიიღოს მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის პროექტის ტვირთის უზრუნველყოფასა და რეალიზაციაში. საკითხი შეეხებოდა აგრეთვე ყუბან-აფხაზეთის ყოველწლიური საქმიანი ფორუმის შექმნას. „ალექსანდრ ტკაჩოვი – რეგიონალური ლიდერია. მისი დანიშვნა მიზნად ისახავს ადმინისტრაციული და საბიუჯეტო პრობლემების გადაწყვეტას და რუსეთის როლის გაძლიერებას აფხაზეთის ტერიტორიაზე“, – მიაჩნია პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის გენერალურ დირექტორ ალექსეი მუხინს.



რუსეთის პრეზიდენტებს აქვთ სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებში სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნის პრაქტიკა – მაგალითად, ვლადიმირ რუშაილო 2010 წლის მაისში დაინიშნა სპეციალურ წარმომადგენლად ყირგიზეთთან ურთიერთობების განვითარებაში, მიხეილ მარგელოვი 2011 წელს – სპეციალურ წარმომადგენლად აფრიკის ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხებში. მოვალეობათა კონკრეტული წრე, რასაც ამგვარი თანამდებობის მიმღები ჩინოვნიკები ასრულებენ, გარკვეული არ არის. ამას გარდა, ადრე პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენლებად რეგიონების ხელმძღვანელები არ ინიშნებოდნენ.

ალექსანდრ ტკაჩოვი კრასნოდარის მხარეს ხელმძღვანელობს 2000 წლის დეკემბრიდან. მიმდინარე წლის 11 მარტს დიმიტრი მედვედევმა დააყენა წინადადება, კვლავ დაენიშნათ იგი გუბერნატორის პოსტზე. ტკაჩოვისთვის ყუბანის ხელმძღვანელის უფლებამოსილებათა მინიჭების საკითხს კრასნოდარის მხარის საკანონმდებლო კრების დეპუტატები განიხილავენ მორიგ სესიაზე 21 მარტს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# პიარ-გადატრიალება

**მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთში წინასაარჩევნო რბოლიდან მთლიანად გამორიცხეს ოპოზიციის წარმომადგენლები, ელოდებოდნენ, რომ იგი გადაიქცეოდა დუნე და ერთფეროვან მოძმედებად დაგეგმილი ფინალით. პოლიტიკურ ვნებათა მიმქრალ კერას შეშა შეჰმატა სამხრეთ ოსეთის კომუნისტების ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა სტანისლავ კოჩიევმა.**

ბატონმა კოჩიევმა ბრალი დასდო ექსპრეზიდენტ ედუარდ კოკოითსა და გენარალურ პროკურორს თაიმურაზ ხუგაევს გადატრიალების მცდელობაში. მისი აზრით, კოკოითი გენერალური პროკურორის (იგი მისი ნათესავიაძ და კონტროლის ქვეშ მყოფი საპარლამენტო უმრავლესობის მეშვეობით ცდილობს, შეიტანოს ცვლილებები კონსტიტუციაში, გადააქციოს სამხრეთ ოსეთი საპარლამენტო რესპუბლიკად და მართოს იგი, როგორც პარლამენტის სპიკერმა.

ამგვარი სცენარი მართლაც არსებობს, რის შესახებაც ჩვენ არაერთგზის დაგვიწერია. უცნაურია, რომ კომუნისტების ლიდერმა მის შესახებ საუბარი დაიწყო მხოლოდ ახლა და არა შემოდგომაზე, როდესაც გადააყენეს სპიკერის პოსტიდან, რათა გაეწმინდათ ადგილი კოკოითისთვის. მეორე კანდიდატმა, ელჩმა დიმიტრი მედოევმა გენერალურ პროკურორ ხუგაევს და ექსპრეზიდენტს კოკოითს ბრალი დასდო არჩევნების ჩაშლის მცდელობაში. თუმცა, გაურკვეველია, თუ რა სახით შეიძლება იყოს ამჟამად სასარგებლო ექსპრეზიდენტისთვის არჩევნების ჩაშლა: ამ შემთხვევაში ხომ ხელისუფლება დარჩება რესპუბლიკის ხელმძღვანელის მოვალეობის დღევანდელ შემსრულებელს ვადიმ ბროვცევს, ვისთანაც კოკოითს ყოველთვის რთული ურთიერთობები ჰქონდა.

ორი კანდიდატის დემარშიდან მეორე დღეს გენერალურ პროკურორზე შეტევაში ჩაერთო თავად მოვალეობის შემსრულებელი. 14 მარტს ბატონმა ბროვცევმა პარლამენტში გაგზავნა განმეორებითი წარდგინება თაიმურაზ ხუგაევის გადადგომის შესახებ. პირველი გაიგზავნა ჯერ კიდევ 13 თებერვალს, მაგრამ დეპუტატებმა უარი თქვეს მის განხილვაზე. ამავდროულად სამხრეთი ოსეთის უშიშროების საბჭომ განაცხადა 800 მილიონი რუბლის მიტაცების შესახებ, რაც რესპუბლიკაში შემოვიდა საფინანსო დახმარების სახით რუსეთიდან. 14 მარტის სხდომაზე გამოაცხადეს, რომ ეს დატაცებანი გამოავლინა რესპუბლიკის საკონტროლო-საანგარიშო პალატამ, რომელმაც ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ მიაწოდა გენერალურ პროკურატურას, თუმცა არანაირი რეაქცია ამას არ მოჰყოლია.

უშიშროების საბჭომ მიმართა პარლამენტს თხოვნით, შექმნას საგამოძიებო კომისია გენერალურ პროკურატურაში სამართალდარღვევის გამოკვლევის შესახებ, გამოძიების პერიოდში კი გენერალური პროკურორის მოვალეობისგან გაათავისუფლონ თაიმურაზ ხუგაევი.

გენერალური პროკურორის გადადგომა იყო შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ნოემბრის არჩევნების გამარჯვებულმა ალა ჯიოევამ და ედუარდ კოკოითმა. თავისი გადადგომის წინ კოკოითმა გაგზავნა წარდგინება პარლამენტში ხუგაევის გადადგომის შესახებ, მაგრამ დეპუტატებმა ხმა წინააღმდეგ მისცეს. მაშინაც მოვალეობის შემსრულებელმა ბროვცევმა თითიც არ გაანძრია, რათა მიეღწია ამ გადადგომისთვის, თუმცა მაშინ ეს იქნებოდა საშუალება კრიზისიდან გამოსვლისთვის.

ახლა კი ხმაური სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, პოლიტტექნოლოგების აზრით, მიზნად ისახავს: აძ გაუღვიძოს მოსახლეობას ინტერესი არჩევნებისადმი; ბძ შეუქმნან „კრემლის კანდიდატს“ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის იმიჯი და გადმოიბიროს მის მხარეზე საპროტესტო ელექტორატი.

რაც შეეხება მოპარულ 800 მილიონს, გაურკვეველია, ვინ მოიპარა, როდის და რა ვითარებაში. უშიშროების საბჭოში ამის შესახებ არ საუბრობენ, რაც მეტად უცნაურია. სამაგიეროდ ცნობილია, რომ 2000 წლის აგვისტოდან რუსეთმა რესპუბლიკაში 43 მილიარდ რუბლზე მეტი გაგზავნა (30 მილიარდი გამოყოფილია რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტიდან, 10 მილიარდი დააბანდა „გაზპრომმა“, 2 მილიარდი – მოსკოვის მთავრობამ და ერთი მილიარდი კერძო შემოწირულობანი შემოვიდა სპეციალურ ანგარიშზეძ. გაზსადენი და მოსკოვის მიკრორაიონი – სახეზეა, ყველა დანარჩენი შეკითხვებს ბადებს. ტალახში ჩაძირული, გადათხრილ-გადმოთხრილი ცხინვალი – ეს არის სწორედ ის სასწაულებრივი მოედანი, სადაც ჩვენ, როგორც უკანასკნელმა ბურატინოებმა, ჩავფალით ჩვენი ფული მელა ალისასა და კატა ბაზილიოს რჩევით. ახლა მელა და კატა აწყობენ არჩევნებს. ეს კი ნიშნავს, რომ თავის ფულს ბურატინო უკვე ველარ იპოვის.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

## დედამიწის ზურგზე

**ლუკაშენკო დასავლეთის აღმაშფოთებელი „შუა საუკუნეების სიკვდილით დასჯის“ შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა. იგი მას „დაიცავს“, მაგრამ ძვირად**

26 წლის დმიტრი კონოვალოვისა და ვლადისლავ კოვალიოვის სიკვდილით დასჯამ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ მინსკის მეტროში აფეთქებაში, გაამწვავა მდგომარეობა ბელარუსში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ევროკავშირში ამზადებენ „უკიდურესად მკაცრ“ სანქციებს, რაც დარტყმას მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკას. მისი „გადარჩენა“, ეტყობა, მოუწევს რუსეთს – იქ გვაგრძნობინებენ, რომ მინსკის წყენინების საშუალებას არავის მისცემს. მაგრამ თამაში, რასაც ლუკაშენკო ეწევა, მეტად სახიფათოა.

* * *

**კანადელმა სტუდენტებმა წმინდა პატრიკის დღის აღსანიშნავად მოაწყეს დარბევა. ზარალის ღირებულება 100 ათასი დოლარია**

ბრბომ შუა ქუჩაში მოაწყო გიგანტური კოცონი, პოლიციელებსა და მეხანძრეებს ესროდნენ ლუდის ბოთლებს, აგურებს, ფიცრებს, საბურავებსა და, უბრალოდ, ნაგავს, შემდეგ კი გადააბრუნეს და ცეცხლი წაუკიდეს ჟურნალისტის ფურგონს. 11 დამნაშავე დაპატიმრებულია, დანარჩენებს სთხოვენ, გამოიჩინონ შეგნებულობა და თავად გამოცხადდნენ.

* * *

**სირიელმა ბოევიკებმა დამასკოს შეუტიეს: სროლები ყუმბარმტყორცნებიდან დაიწყო ყველაზე მეტად დაცულ რაიონში**

საერთაშორისო წითელ ჯვარს ამ დროს განზრახული აქვს სთხოვოს ლავროვს დაითანხმოს ასადი შეწყვიტოს ცეცხლი – თუნდაც ორი საათით ყოველდღე, რათა მოხდეს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია. რუსეთი აწვდის სირიას იარაღის ჯერ არნახულ მოცულობას, გამოიძიეს შვედეთში. დიდი უბედურება არ იქნება, თუ ჩვენ ამას დავკარგავთ, ჩვენ იქ არ გაგვაჩნია სტრატეგიული ინტერესები, მიაჩნია რუსეთის ზოგიერთ ექსპერტს.

* * *

**იემენში მასობრივი უწესრიგობის დროს, რამაც გამოიწვია რეჟიმის შეცვლა, დაიღუპა 2 ათასზე მეტი კაცი**

მსხვერპლთა შორის არიან უიარაღო დემონსტრანტები, მშვიდობიანი მოსახლეობა, აგრეთვე დაახლოებით 120 ბავშვი, ასეთი ანგარიში წარმოადგინა ადამიანის უფლებათა სამინისტრომ. დაზარალებულთა რიცხვმა 2 ათას კაცს გადააჭარბა. ეს მონაცემები მკვეთრად განსხვავდება საერთაშორისო სამართალდამცველების ცნობისგან, რომლებიც ადრე აცხადებდნენ მხოლოდ 200 კაცის დაღუპვის შესახებ.

# რუსეთი იმაზე მეტად ვერ დაგვაზარალებს, ვიდრე დაგვაზარალა 2008 წლის აგვისტოს ოკუპაციით?!

**ჩვენს რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარება უკიდურესად იძაბება. ირანთან საერთაშორისო მოლაპარაკება უშედეგოდ მიმდინარეობს და დასავლეთში ბირთვული პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტას არ გამორიცხავენ. კრემლში გულხელდაკრეფილნი არ სხედან და მდგომარეობის ესკალაციის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიის დაპყრობის „სტრატეგიულ გეგმებს“ ამზადებენ.**

ამ „გეგმის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება მასშტაბური სამხედრო წვრთნები „კავკასია–2012“, რომელშიც არა მხოლოდ რუსეთის სამხრეთი, არამედ ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ასევე სომხეთი იქნება მოცული.

მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებით, თბილისში პრევენციულ განცხადებებს აკეთებენ.

„იმ ფონზე, როცა რუსეთი უპრეცედენტო მასშტაბის სტრატეგიულ სამხედრო სწავლებას „კავკასია 2012“-ს გეგმავს, ახალი აგრესიის გამორიცხვა გულუბრყვილობა იქნება“, – აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე „ეხო მასკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. 200-მდე კითხვა მინისტრს რადიოსადგურის ვებგვერდის საშუალებით მოქალაქეებმა დაუსვეს.

„ეს გაცილებით მასშტაბური სწავლებაა, ვიდრე „კავკასია 2008“. ამიტომ დღეს საქართველოსთვის, რომელიც გეოგრაფიულად რუსეთის გვერდითაა, სამხედრო აგრესიის განმეორების გამორიცხვა სრული გულუბრყვილობა იქნებოდა. რუსი სამხედროები აგრესიული სურვილების დამალვას არც ცდილობენ. რისთვის სჭირდებათ ეს? როცა ყაზანში ადგილობრივი შს მინისტრი იძულებულია დაამშვიდოს უკმაყოფილების ტალღა, რომელიც მილიციის განყოფილებაში უდანაშაულო ადამიანის მკვლელობას მოჰყვა და ხალხს სურს მილიციის ისეთი განყოფილების შექმნა, როგორიც საქართველოშია, რაში სჭირდება რუსეთს საქართველოს მსგავსი მეზობელი. მით უფრო არ სჭირდება დემოკრატიაში შეჯიბრება“, – აცხადებს ვაშაძე და დასძენს, რომ 300 ათასი რუსი ტურისტი, რომელიც საქართველოში ჩამოდის, ამ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების მოწმეა.

პოლიტოლოგი ზურაბ აბაშიძე საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების პათოსს ეთანხმება და აცხადებს, რომ ამის საფუძველი ნამდვილად არსებობს: „ერთი მხრივ, ჩვენს ურთიერთობებში ძალიან ცუდი ფონია შექმნილი და მეორე მხრივ, თვითონ ამ ვარჯიშების უპრეცედენტო მასშტაბი, რაღაც შინაგანი შფოთვისა და განგაშის საფუძველს იძლევა. სამხედრო აგრესიის ალბათობა ნამდვილად არსებობს. ვერ ვიტყვით, რომ ეს საქართველოს წინააღმდეგ 100%-ით დაგეგმილი აქციაა, მაგრამ რისკი და საფრთხეები რომ არის, ეს ფაქტია“.

კითხვაზე, რა ბერკეტები რჩება ქართულ მხარეს, აბაშიძე განმარტავს, რომ 2008 წლიდან მოყოლებული გამოცდილების გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოება ჩვენთან ერთად ფხიზლად უნდა იყოს: „მაშინ შეიძლება ვილაცას კიდევ ჰქონდა ილუზია ან ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ საქართველო-რუსეთს შორის ასეთი დრამატული ვითარება იყო, მაგრამ ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ახლა მეტი არგუმენტი არსებობს, რათა საერთაშორისო საზოგადოება ჩვენთან ერთად ფხიზლად იყოს. არ ვამბობ, რომ ეს აუცილებლად ომისთვის მზადებაა, მაგრამ ჩვენ თავი მაქსიმალურად უნდა დავიზღვიოთ“.

თავის მხრივ, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი რუსეთის მიერ დაგეგმილი სამხედრო წვრთნების „კავკასია 2012“-ის ორ შესაძლო მიზეზს ასახელებს. როგორც ზაქარეიშვილი აცხადებს, წვრთნები განხორციელდება, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ რუსეთმა მოახდინოს ძალის დემონსტრირება და თავის წარმოჩინება, ხოლო მეორე მხრივ, იმისთვის, რომ მოახდინოს რეალურად იმ ძალების კოორდინაცია, რომლის განთავსებაც სამხრეთ კავკასიაში მან ოკუპაციის შედეგად მოახდინა.

ზაქარეიშვილის აზრით, წვრთნები ასევე მიმართულია რეგიონში ნატოს შესაძლო ოპერაციების წინააღმდეგ.

ამ ფონზე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო 2012 წლის ბოლომდე ისრაელსა და ირანს შორის ომის დაწყებას ვარაუდობს. გამოცემა „კომერსანტის“ინფორმაციით, მათ ამ შემთხვევისთვის სპეციალურად შემუშავებული სტრატეგიული გეგმაც აქვთ, რომელიც კავკასიაში მოსალოდნელ დესტაბილიზაციას შეაჩერებს. ანონიმური მაღალი რანგის რუსი დიპლომატის თქმით, ისრაელი აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას შანტაჟს მოუწყობს და შეეცდება ჩაითრიოს ომში.

„ობამას აიძულებენ ან მხარი დაუჭიროს ომს, ან არჩევნებზე დაკარგოს გავლენიანი ებრაული ლობი“, – იუწყება „კომერსანტი“რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობის პირზე დაყრდნობით.

რაკი რუსეთს ეჭვი აღარ ეპარება, რომ ომი დაიწყება, სპეციალურმა კომისიამ იმ შემთხვევისთვის, თუ საომარი მოქმედებები დსთ-ს ტერიტორიაზეც გადმოვა, საიდუმლო ოპერატიული გეგმა შეიმუშავა. „კომერსანტი“ აცხადებს, რომ რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ირანიდან აზერბაიჯანს დევნილების ნაკადი მოაწყდება. ყველაზე სახიფათო კი მათთვის ირანზე თავდასხმის შემთხვევაში კავკასიაში შესაძლო დესტაბილიზაციაა, – აცხადებს წყარო რუსული საგარეო უწყებიდან.

რუსეთის საიდუმლო გეგმის არსებობისა და მობილიზაციის შესახებ „კომერსანტს“ სხვა მაღალი რანგის დიპლომატმაც დაუდასტურა. მან აღნიშნა, რომ ამ გეგმაზე სპეციალურმა კომისიამ იმუშავა. გეგმის სახელწოდება და მისი შემქნელების ვინაობა კი არ ხმაურდება და ამ ინფორმაციას გრიფი – „საიდუმლო“ ადევს.

რუსული საგარეო უწყების წყაროს თქმით, აპრილში დაგეგმილი მოლაპარაკება ირანსა და 6 საერთაშორისო მედიატორს (რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ჩინეთი,საფრანგეთიძ შორის, ბოლო შანსია ირანისთვის თავიდან აიცილოს ომი. ირანის ხელისუფლებისთვის ამ ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს თხოვა. ლავროვსა და კლინტონს შორის ბოლო შეხვედრა ნიუ-იორკში გაიმართა.

რუსეთი სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო წვრთნების – „კავკაზ -2012“ მომზადებას შეუდგა, რომელიც სექტემბერში უნდა გაიმართოს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შარშანდელი ანალოგიური მანევრებისგან განსხვავებით, ეს სწავლება გაცილებით მასშტაბურად და „პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით“ მოეწყობა. ის არა მხოლოდ რუსეთის სამხრეთს, არამედ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ასევე სომხეთს მოიცავს.

წლევანდელი სწავლება არა ოპერატიულ-ტაქტიკური, არამედ სტრატეგიული იქნება და სახმელეთო ძალებთან ერთად, საზღვაო, საჰაერო, სამხედრო-კოსმოსური თავდაცვის, საჰაერო-სადესანტო, ასევე შინაგან საქმეთა, უშიშროების, დაცვის ფედერალური და საგანგებო სიტუაციების სამსახურები ჩაერთვებიან.

**მერაბ ბრეგაძე**

**უკრაინული კლასიკა ქართულად**

# ძმა ძმისთვის...

## თითქოს ამირანი გაცოცხლებულიყოს

იგი ჩვენი სამეგობროს კოლორიტი იყო – პოეტი, მთარგმნელი, მახვილგონივრული ექსპრომტებისა და ეპიგრამების ავტორი, უზადო იუმორის მატარებელი კაცი. ბედის ირონიაა, აბა, რა – სამსახური რომ ვერსად „გაახერხა“, ცენზორად დაიწყო მუშაობა მთავლიტში (თავს იმით იმართლებდა, რომ გენიალური „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი რაფიელ ერისთავიც ცენზორი იყოო), კითხულობდა სალამოობით გამომცემლობა „სამშობლოს“ მეხუთე სართულზე განთავსებულ ერთ-ერთ ოთახში „ათას სისულელეს“ (ასე ეძახდა ჩვენს – ჟურნალისტების ნამუშაკევსძ, გაზეთების გვერდებს სწრაფ-სწრაფად ურტყამდა ბეჭედს (ანუ გავრცელების ნებართვასძ და შემოგვიერთდებოდა მეორე ოთახში (დილიდან სალამომდე, „ზემდგომები“ – ცხონებული ციალა ამაშუკელი და ტიტე ხუხუა რომ ისხდნენძ, სადაც ჩვენ უკვე გაწყობილი გვქონდა მაგიდა. ავთო გურგენიძე თამადობდა ხოლმე. ავთო ენაწყლიანი იყო, გურული იუმორიც მოსდევდა, არც ამირანი იყო ნაკლები – ექსპრომტებს ახვავებდა. ერთ სალამოს რამდენჯერმე შემოგვისწრო აწ გარდაცვლილმა გაზეთ „ლელოს“ პასუხისმგებელმა მდივანმა, ცხონებულმა ვანდი ხანდამიშვილმა. ერთ შემოსვლაზეც ამირანმა უცებ სტყორცნა:

**სამჯერ მოვიდა ვანდი,**
**ჩვენ ისევ ისე ვსვამდით,**
**– როგორ უძლებთო ამდენს!**
**მართალი იყო ცამდე.**

ჩვენ თანაკურსელები ვიყავით. 1960 წელს ერთად ჩავაბარეთ მისაღები გამოცდები დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამირანი სიბეჯითით გამოირჩეოდა, ჰოდა, იმ წლებში, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უნივერსიტეტების სტუდენტების გაცვლა-გამოცვლა რომ დაიწყო, ამირან ასანიძე, რეზო ხვედელიძე, ნური ვერძაძე და კიდევ რამდენიმე მესამეკურსელი, კიევის უნივერსიტეტში მიავლინეს. ამირანმა ბრწყინვალედ შეისწავლა უკრაინული ენა, ჩამოვიდა, თარგმნიდა და ბეჭდავდა გამოჩენილი უკრაინელი პოეტების ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, პავლო ტიჩინას, ვლადიმერ სოსიურას და სხვათა ნაწარმოებებს (მთარგმნელობით კოლეგიაში მოღვაწეობდა ერთხანსძ, მაგრამ მისი მთავარი საქმე მაინც – **ივან კოტლიარევსკის „ენეადას“ თარგმნა იყო.** დიდი შრომა ჩადო, ასწია „საჯილდაო ქვა“, გაასრულა ეს საქმე და თარგმანი ვის აღარ გააცნო ჩვენთანაც და უკრაინაშიც, ზოგი დაჰპირდა გამოცემას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, ამირანი ვერ მოესწრო „ენეადას“ წიგნად აკინძვას.



სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იგი სტილისტად მუშაობდა ჩვენთან – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, უზადოდ აკეთებდა თავის საქმეს, კარგი ქართველი კაცის, კარგი ჟურნალისტის პლატონ ასანიძის კარგი შვილი არც მშობელ სახხერეს ივიწყებდა, ჩადიოდა ხოლმე და მერე ემოციურად გვიყვებოდა იქაურ ამბებს... დადიოდა ფერმიხდილი, ულამაზეს თვალებში კვიმატი ღიმილი უთამაშებდა... ჩაქრა ეს ღიმილი, კიდევ ერთი ნიჭიერი ლექსის კაცი უდროოდ წავიდა...

და, კარგა ხნის შემდეგ, აგერ, რამდენიმე დღის წინათ, რედაქციაში გვეწვია ახალგაზრდა კაცი, ამირან ასანიძის ძმის – ბადრის ვაჟიშვილი ვახტანგი, მოკრძალებით ჩამოგვირიგა მოსაწვევი ბარათები, როგორც იქნა გამოვეცით ამირანის ნათარგმნი „ენეადა“ და უკრაინის საელჩოში მის წარდგინებაზე მობრძანდითო.

...მართლაც, „ვახ, სოფელსა ამას“!.. რა იქნებოდა, მოსწრებოდა ამ დღეს, რა იქნებოდა, ეგრძნო, განეცადა ის მადლიერება, რასაც საქართველოში უკრაინის საელჩოში შეკრებილი მისი ახლობლები, კოლეგები, და, რაც მთავარია, უკრაინელი მეგობრები გამოხატავდნენ მის მიმართ.

* * *

...შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ „ენეადას“ ავტორი ივან კოტლიარევსკი არის ახალი უკრაინული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი, უკრაინული ლიტერატურის პირველი კლასიკოსი, შემქმნელი უკრაინული ყოფით-რეალისტური დრამისა და ავტორი მრავალი ლირიკული ლექსისა, პოემა, რომელიც ამირან ასანიძემ თარგმნა, ივან კოტლიარევსკის მიერ, გადმოკეთებულ-პაროდირებულია რომაელი პოეტის ვერგილიუსის პოემა-ეპოპეა „ენეიდადან“ და, როგორც მხატვრული ნაწარმოები, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ მიღწევად ითვლება. პოემა სრულად მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა 1842 წელს და ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ ბევრმა მკითხველმა იგი ზეპირად იცოდა. ამბობენ, რუსეთის მეფე უკრაინული „ენეადას“ კითხვის დროს თავშეუკავებლად ხარხარებდა, ხოლო მოსკოვიდან გაქცეულმა ნაპოლეონმა რამდენიმე რელიქვიასთან ერთად თითქოს ი. კოტლიარევსკის „ენეადაც“ წაიღო, რომელიც შემდეგ წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულს თან ჰქონდა.



უდავოა, რომ ამირან ასანიძის თარგმნილი „ენეადა“ ქართული მთარგმნელობითი სკოლის, ქართული კულტურის ბრწყინვალე შენაძენია, განსაკუთრებით ნატრობდა მის გამოცემას ამირანის საყვარელი ძმა ბადრი ასანიძე (იგი დღემდე პატრონობს ამირანის შემოქმედებასძ, აიყოლია მან ვაჟიშვილი ვახტანგი, ახლობელი კაცი ნუგზარ იაშვილი და, შეიძლება ითქვას, ძეგლი დაუდგა თავის ნაადრევად წასულ სახლიკაცს – მეტი რომ ვერ მოახერხა მწირი შესაძლებლობებით, სულ 50 ცალი გამოიცა ივან კოტლიარევსკის პოემა. **მაშ... სულ 50 ცალი!..**

გამოცემაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ამირანის მეგობრებმა, პედაგოგებმა, ახლობლებმა – ავთანდილ გურგენიძემ, შოთა ხოდაშნელმა, ციცინო ხოცუაშვილმა, ოთარ ბაქანიძემ, ივან ოლიენკომ, რევაზ ხვედელიძემ, ანატოლი ბაზილევიჩმა, იზოლდა კლიმიაშვილ-ჩიქვინიძემ, გიორგი ჩიქვინიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბმა „უკრაინამ...“

მშვენიერი წიგნი გამოვიდა, თუმცა ეს ტირაჟი არც ჩვენ გვეკადრება და არც უკრაინას, ჰოდა, რა ბედნიერება იქნება, რომ გამოჩნდეს ვინმე ღვთიან-მადლიანი ბიზნესმენი, მეცენატი, ჯიბეზე უშურველად „ხელგამკრავი“ პიროვნება, რომელიც, როგორც ეკუთვნის სწორედ იმ რაოდენობით გამოსცემს „ენეადას“, ხელმისაწვდომს გახდის მას წიგნიერი საქართველოსთვის და ამით, რაღა თქმა უნდა, განამტკიცებს ქართველი და უკრაინელი ერის კიდევ უფრო დაახლოებას!

ეს ყოველივე უკრაინის საელჩოში აღნიშნეს კიდეც ბატონებმა ოთარ ბაქანიძემ, ზეზვა მედულაშვილმა და სხვებმა.

...გამოდიოდნენ ახალგაზრდა დეკლამატორები – უკრაინელები, ქართველები... კითხულობდნენ „ენეადას“ ნაწყვეტებს...

... და, თითქოს ჩვენი მეგობარი გაცოცხლებულიყოს – შუბლნათელი, ვალმოხდილი ამირანი!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**ახალი წიგნები**




## „თავისუფლების მთვარე“

დიდი მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების 150 წლისთავი იუნესკოს ეგიდით აღინიშნა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას მინიატიურული კრებული „პოემები“, რომელიც საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ გამოსცა.

კრებული ათ პოემას აერთიანებს და ძვირფასი შენაძენია ჩვენი მკითხველისთვის. ეს პოემებია: „მოხუცის ნათქვამი“, „გიგლია“, „გოგოთურ და აფშინა“, „ეთერი“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „გველისმჭამელი“.

კრებული შემთხვევით არ იხსნება პოემით „მოხუცის ნათქვამი“. პოემის დასაწყისში კრწანისის ომის მოწმე მოხუცი ამბობს:

**„ეს რა დროებას მოვესწარ?**
**გამოიცვალა ქვეყანა**
**მამალიც ჰყივის სხვაგვარად.**
**კაცსა სძულს მისვლა**
**კაცთანა;**
**ბიჭები გალაჩრებული**
**ყბედობენ სიყვარულზედა;**
**უმსგავსი მათი სიცილი**
**ეკლად მეხვევა გულზედა“.**

დღევანდელი სურათი დაიხატა – დიდ მწერალს გული სტკივა, რომ ქალიც და კაცით გადაგვარდა, „კაცმა ქალობა დაიწყო, კოხტაობს, სიტყვა – ნაზია“, არადა ძველ დროში იგი მტერთან შეუპოვარი ბრძოლით ფასდებოდა, „მუხლმგელი, გულით რკინისა“ იყო.

ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება ხომ ვაჟკაცობისა და მამულისთვის თავდადების სიმღერაა. პოემა „ბახტრიონს“ აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ.

**„ბახტრიონს თათრის**
**შვილებსა**
**დღე გაუთენდა მწარია.**
**გადმოდგა ბორბალაზედა**
**თავისუფლების მთვარეა?..“**

კრებულს ამშვენებს საქართველოს სახალხო მხატვრის კორნელი სანაძის ნახატი „ვაჟა-ფშაველას პორტრეტი“. წიგნის მთავარი რედაქტორია ლია ნადარეიშვილი, მხატვარი – გიორგი წერეთელი, შემდგენელი – შოთა კობიაშვილი. წიგნს ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ეს ლამაზი მინიატიურული გამოცემა შეგიძლიათ შეიძინოთ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**ბედნიერება ურეცეპტოდ**

**გაზაფხული სიცოცხლის აღორძინების დროა. სწორედ ამ დროს გვხვდება აქტუალური ბედნიერების მარტივი რეცეპტები.**

# როგორ მოვიპოვოთ მცირეოდენი პოზიტივი?

### ფიზიკური აქტივობა

სტატისტიკის მიხედვით, სპორტის მიმდევარ ადამიანებს შორის დეპრესია 5-ჯერ ნაკლებად გვხვდება, ვიდრე უქნარებში. იცით, რა არის ბედნიერების ჰორმონი? ! ენდორფინი, რომელიც იწვევს ეიფორიას და სიცოცხლის სიყვარულის შეგრძნებას. ფიზიკური დატვირთვა ხელს უწყობს მის სინთეზს. ნახევარსაათიანი ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები 5-7-ჯერ ზრდის ენდორფინის კონცენტრაციას. სწორედ ამიტომაც „ხორციელი სიხარული“ სწრაფად გადაიზრდება ხოლმე სულიერ სიხარულში. ოღონდ დაიცავით ზომიერება – ჯანმრთელი ადამიანისთვის საკმარისია კვირაში 2-3 ვარჯიში.

### შეიხედეთ მაცივარში

ბედნიერება მიიღწევა საკვები პროდუქტებითაც.

სიხარულის ჰორმონი – სეროტინინი უხვადაა მწარე შოკოლადში, ანანასში, ბანანში, ვაშლსა და ქლიავში. ხასიათს გამოგისწორებთ ის პროდუქტები, ამინომჟავას რომ შეიცავენ (ინდაურის ხორცი, რძე, კვერცხი, პარკოსნები – ლობიო, ცერცვიძ. დამამშვიდებელი თვისებები აქვთ აგრეთვე ნახშირწყლების შემცველ პროდუქტებსაც – პურს, კარტოფილს, მაკარონს.

### იმეგობრეთ ოპტიმისტებთან

ხალხთან ურთიერთობისას ჩვენ ძალაუნებურად გადავერთობით ხოლმე მათ „ტალღაზე“. ყველამ იცის, რომ სიცილი გადამდებია. მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ გადამდებია ცუდი განწყობილებაც. ავსტრიაში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ თუ სამსახურში მივიდა თანამშრომელი ცუდ ხასიათზე, რაღაც 20 წუთში შესაძლოა ცუდი განწყობა დაეუფლოს მთელ კოლექტივს. აი, რატომაა მნიშვნელოვანი პოზიტიურად განწყობილ ადამიანებთან ურთიერთობა. ექიმების გაანგარიშებით, ეს უბრალო საშუალება აორმაგებს საკუთარ პოზიტივს.

### გასწორდით და გაიღიმეთ

სხეულის ენა – ურთიერთობის გასაოცარი საშუალება, გასაგებია ყველასთვის.

წელში მოხრილი, მხრებჩამოყრილი, ნაღვლიანი გამოხედვა – თქვენი გაშიფრული გზავნილია – „დარდიანი ვარ!“ მაგრამ ის სხვებისთვის კი არაა განკუთვნილი, არამედ პირადად შენთვის. ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ დაადგინა: თუკი შეწუხებული კაცის პოზაში დადგები, განწყობილება სწრაფად გაგიფუჭდება, პირიქით მოხდება – ოპტიმისტის პოზა ნაღველს გაგიფანტავს. ტყუილად ხომ არაა ნათქვამი – გაშალე მხრები და სულიც გაგეშლებაო. ღიმილს კი ფიზიოლოგები კარგი განწყობის ღილაკად მიიჩნევენ, თუნდაც ის ღიმილი ცრემლნარევიც კი იყოს. გახარებული მიმიკა ხსნის კუნთების დაძაბულობას და ასტიმულირებს თავის ტვინის განყოფილებებს, კარგ განწყობაზე რომ აგებს პასუხს.

### გაუმარჯოს სინათლეს!

სევდა, ნაღველი, მოწყენილობა შემთხვევით როდი გვეუფლება შემოდგომით და ზამთრობით. ცუდი განწყობილება საერთოდ ვერ იტანს ნათელ სხივებს.

როგორც სპეციალისტები გვიმტკიცებენ, მზის სხივები ორგანიზმში გამოიმუშავებენ სიხარულის ჰორმონს – სეროტონინს, რომელიც პასუხისმგებელია სულის სიმხნევეზე. თანაც რამდენადაც კაშკაშაა მზის ნათელი, იმდენად მაღალია სეროტონინის დონე. ზოგიერთ ექიმს მიაჩნია, რომ დეპრესიას საერთოდ არ აქვს არავითარი ფსიქოლოგიური წანამძღვრები – ეს სუფთა ფიზიოლოგიაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ულტრაიისფერის ნაკლებობა.

ხელოვნურ სინათლეს სამკურნალო თვისებები არ გააჩნია – მედიკამენტური სინათლე, თერაპიის ჩატარება შეიძლება მხოლოდ ულტრაიისფერი სხივების სპეციალური ხელსაწყოს დახმარებით.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

რაგბი

# მშრალი კანონი – ქართულად

**ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშება ისე წარიმართა, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისთვის მთავარი პრიზის მოპოვება სათუო გახდა, რადგან ბორჯღალოსნებმა ესპანეთთან მატჩი წააგეს. მე-4 ტურს ორი მნიშვნელოვანი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი: მასპინძლები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე რუსებს სძლევდნენ თუ არა დიდი ანგარიშით (საპრემიო ქულისთვის აუცილებელი იყო ოთხი ლელოს დადება) და ბუქარესტში ჩვენგან ძლეული რუმინელები სტუმრად ესპანელებს თუ მოუგებდნენ, უარეს შემთხვევაში, პირენეელებისთვის ოთხი ლელოს გატანის საშუალება არ უნდა მიეცათ. საბედნიეროდ, ფორტუნამ ამჯერად ჩვენს წისქვილზე მიუშვა წყალი.**

ოცდახუთი ათასი გულშემატკივრის შეძახილებით გამხნევებული ქართველი მორაგბეები პირველი წუთებიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, მაგრამ ლელო 24-ე წუთამდე ვერ დადეს — 2012 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენმა მამუკა გორგოძემ გახსნა ლელოთა ანგარიში. შესვენებამდე ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთხელ იყოჩაღეს — ამჯერად გიორგი ჩხაიძემ გამოიჩინა თავი — 17:0.

მეორე ტაიმში ჩვენებურთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. მართალია, სტუმრები სტატისტის როლში არ ყოფილან, მაგრამ ბორჯღალოსნებმა ჩრდილოელი მეზობლები ყველა კომპონენტში დაჯაბნეს, სტუმართა დაცვის ჯებირები მოარღვიეს და საფინალო სასტვენამდე ირაკლი მაჩხანელმა (2ძ, ლევან დათუნაშვილმა და გიორგი ნემსაძემ ოთხი ლელო მიითვალეს. მეგობრები არც მერაბ კვირიკაშვილმა დაალალატა — ექვსიდან ხუთი გარდასახვა და სამიდან ორი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა, რითაც გუნდს 16 ქულა შესძინა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა (ირაკლი ყიასაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე (კაპ.ძ, მამუკა გორგოძე, გივი ბერიშვილი, შალვა სუთიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ჩხაიძე, დავით ქუბრიაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ვასილ კაკოვინი, რევაზ ბელქანია, დავით ხინჩაგიშვილი, გიორგი ნემსაძე, დიმიტრი ბასილაია, გიორგი ბექაძე, თედო ზიბზიბაძე, ლაშა მალაღურაძე, მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგიძ მშრალი ანგარიშით — 46:0 გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში 4 ქულა ჩაიწერა. საგულისხმოა, რომ ეს მატჩი იყო რუსეთ-საქართველოს მე-16 შეხვედრა და მასპინძლებმა მეთოთხმეტედ მოიგეს, თანაც „დათვებმა“ პირველად წააგეს უქულოდ.



იმ დღეს ჩვენთვის სასურველი ანგარიშით დასრულდა ესპანეთი-რუმინეთის პაექრობაც. მასპინძლებმა დაამარცხეს (13:12ძ „მუხის ფოთლები“, მაგრამ საპრემიო ქულა ვერ დაიმსახურეს და გათამაშების ცხრილში ქულით ჩამოგვრჩებიან. ერთა თასის მოსაპოვებლად უკრაინასთან დიდთოვლობის გამო გადადებულ მატჩში ოთხლელოიანი წარმატება გვმართებს, რაც აუტსაიდერებთან ბორჯღალოსნებს არ უნდა გაუჭირდეთ, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გასულ უქმეებზე უკრაინამ ოდესაში პორტუგალიას აჯობა — 35:33 და ბოლო ორი სეზონის განმავლობაში გათამაშების ცხრილში პირველი ისტორიული გამარჯვება ჩაიწერა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პრ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +70 | 3 | 15 |
| 2 ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +37 | 2 | 14 |
| 3. რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | +26 | 3 | 11 |
| 4 რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | -51 | 1 | 9 |
| 5. პორტუგალია | 5 | 1 | 0 | 4 | -30 | 3 | 7 |
| 6 უკრაინა | 3 | 1 | 0 | 2 | -52 | 1 | 5 |

**დარჩენილ შეხვედრათა კალენდარი: 31 მარტი.** რუმინეთი — უკრაინა. **19 მაისი.** რუსეთი — ესპანეთი. **9 ივნისი.** უკრაინა — საქართველო.

**P. S. მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ ქართველი მორაგბეების — მამუკა გორგოძის, ირაკლი აბუსერიძის, დავით ქუბრიაშვილის, გიორგი ჩხაიძის მაისურები, საქართველოს ნაკრების ახალი სათამაშო ფორმა და ის ბურთი, რომლითაც ბორჯღალოსნებმა ჩრდილოელი მეზობლები დაჯაბნეს, აუქციონზე გაიყიდა და შემოსული თანხა გადაერიცხა საგურამოს ბავშვთა სახლს, რომელზეც შეფობა საქართველოს რაგბის კავშირს აქვს აღებული. უცილობლად, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. კარგი იქნება, თუ ამგვარი აქცია ტრადიციული გახდება, ოღონდ პოლიტიკური და პიარნიშნით ნუ გაჯერდება!**

* * *

**უელსის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა 6 ერის თასის გათამაშება. კელტებმა ხუთივე თამაში მოიგეს და უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მესამედ მოიპოვეს დიდი სლემი.**

**დასკვნითი ტურის შეხვედრათა შედეგები:** უელსი — საფრანგეთი 16:9, იტალია — შოტლანდია 13:6, ინგლისი — ირლანდია 30:9.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# აქეთურ – იქითური

**ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე თბილისის „დინამოსა“ და „ზესტაფონის“ სეზონის მატჩი გაიმართება, თუმცა ქვეყნის მოქმედ ჩემპიონთან სატიტულო ბრძოლამდე გიორგი დევდარიანის გუნდმა მარტვილის „მერანთან“ საბედისწერო ქულები დაკარგა — 2:2.**

შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „თეთრ-ლურჯებმა“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან სამეგრელოში სენსაციური მარცხი იწვნიეს — 1:2.

ბუნებრივია, ისინი სარბიელზე სარევანშო განწყობით გამოვიდნენ და ნახევარ საათში, ერთი შეხედვით, მყარი საფუძველი ჩაუყარეს მორიგ წარმატებას ახალი თავკაცის ხელში — 2:0 (ჩისკო, კოშკაძეძ.

აი, სწორედ ამის შემდეგ აირია მონასტერი, რასაც საფუძველი მასპინძელთა კართან ჩამოწოდებულმა კუთხურმა ჩაუყარა. ამ ეპიზოდში დინამოელთა მეკარე ლორია გამოსვლაზე შეცდა და ძარია იძულებული გახდა ბურთი ცარიელი კარიდან ხელით გამოეტანა. მინდვრიდან მის გაძევებას ჟვანიას მიერ ზუსტად შესრულებული პენალტი მოჰყვა — 1:2, ხოლო კვანძი 56-ე წუთზე გაიხსნა, როცა დილმელთა მეკარემ კიდევ ერთი ბავშვური „იაღლიშით“ ჩალაძეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა — 2:2. ალბათ, ამ დროს ყველას გაახსენდა ლორიას მიერ ალბანელთათვის ანალოგიურ ვითარებაში ნაფეშქაშები გოლი.



მთლიანობაში სტუმრებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს, „დინამოს“ კი, ალბათ, მომავალ სეზონამდე მოუწევს საჩემპიონო ამბიციებთან დამშვიდობება.

„დილა“ — „მეტალურგი“ 0:1.

* * *

**იტალია.** „პარმა“ — „მილანი“ 0:2, „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 0:5, „უდინეზე“ — „ნაპოლი“ 2:2.

**ესპანეთი.** „რეალი“ — „მალაგა“ 1:1, „სევილია“ — „ბარსელონა“ 0:2, „ბილბაო“ — „ვალენსია“ 0:2.

**ინგლისი.** „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „მანჩესტერი“ 0:5.

**გერმანია.** „ბორუსია“ — „ვერდერი“ 1:0, „ჰერტა“ — „ბაიერნი“ 0:6, „კაიზერსლაუტერნი“ — „შალკე“ 1:4.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# ბლიცში ძაგნიძემაც იყოჩაღა



**თურქულ გაზიანთეფში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ, სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცში. საასპარეზოდ კონტინენტის უძლიერესმა დიდოსტატებმა მოიყარეს თავი. უკვე გაუწყეთ, რომ კლასიკურში უძლიერესი იყო რუსი ვალენტინა გუნინა, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილები ორგზის ევროპის ჩემპიონმა ტატიანა კოსინცევამ (რუსეთი) და ანა მუზიჩუკმა (სლოვენია) გაინაწილეს. ქართველთაგან საუკეთესო იყო ბელა ხოტენაშვილი — მე-9 ადგილი. მეცამეტე-მეთოთხმეტე ადგილები ნინო ხურციძესა და ნანა ძაგნიძეს ერგოთ. სამივე მოჭადრაკე მსოფლიოს თასზე იასპარეზებს.**

რაპიდში 9 ქულით უძლიერესი ტატიანა კოსინცევა აღმოჩნდა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთიძ და ელიზაბეტ პეტცი (გერმანიაძ, რომლებმაც ვერცხლი და ბრინჯაო გაიყვეს. 7 ქულით მეოთხე იყო ძაგნიძე. სამაგიეროდ, ჩვენებურმა ბლიცში იყოჩაღა — 20 შესაძლებლიდან 13,5 ქულას მოუყარა თავი და ინდივიდუალურში პირველი ევროპული ჯილდო — ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ოქრო 15 ქულით აქაც ვალენტინა გუნინამ ირგუნა, 14,5 ქულით მეორე ადგილი პეტცმა დაიკავა.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# როცა ვნებები ბობოქრობს

**სუპერლიგის XVIII ტურის ცენტრალურ მატჩად თსუ-ს და „სამედიცინოს“ სტუდენტური დერბი მოინათლა. საფუძვლიანადაც — გამარჯვებული ხომ ცალი ფეხით პლეი-ოფში შეაბიჯებდა.**

**ეტყობა, ბრძოლის პრინციპულობას უნდა მივაწეროთ, რომ შეხვედრის წინ მედიკოსთა თავკაცებმა მსაჯების — ზაზა მაჩალაძისა და მაკა კუპატაძის აცილება მოითხოვეს, რადგან პირველი მათი უშუალო კონკურენტის — სტუ-ს ერთ-ერთი მოთამაშის მამაა, ხოლო მეორე თსუ-ს ყოფილი კალათბურთელია.**

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის შესაბამისი კომიტეტი კადრების დეფიციტის გამო არჩევანში შეზღუდულია, რასაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი არბიტრის დავით ბერეკაშვილის დისკვალიფიკაციაც დაემატა, რომელიც ბავშვთა ლიგაში დაშვებული შეცდომის გამო დაისაჯა, ამიტომ „სამედიცინოს“ თხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა.



ალბათ, ამის ბრალიც იყო, რომ შესვენებაზე თსსუ-ს რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიასა და სკფ-ს პრეზიდენტ ზესიკ ლიპარტელიანს შორის ემოციური დიალოგი გაიმართა, რასაც, ვფიქრობთ, ხელი მედიკოსთა ცენტრის ნემანია ილიჩის მიერ მიღებულმა ოთხმა პერსონალურმა შენიშვნამაც შეუწყო, რომელთაგანაც ორი, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ გამოიყურებოდა.

ასეა თუ ისე, პოლემიკა სპორტის სასახლის ვიპ-ლოჟის შემდეგ დერეფანში გაგრძელდა და დარბაზში მხოლოდ ბატონი ზესოს დაბრუნებით დასრულდა. მიდი და ამის შემდეგ ნუ ირწმუნებ ცნობილი ანდაზის ჭეშმარიტებას — ცუდი მაგალითი გადამდებიაო. ალბათ, მიხვდით, გაქცევების დიდოსტატის მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას რომ ვგულისხმობთ.

რაც შეეხება თვით მატჩს, საბოლოოდ „სამედიცინომ“ მაინც შეიტანა გარდატეხა ბრძოლაში და მნიშვნელოვანი ქულებით გაიმდიდრა აქტივი — 83:74.

**დანარჩენი შეხვედრების შედეგები:** „ქუთაისი“ — „სოხუმი“ 86:74, „დინამო“ — „ბათუმი“ 82:76, „ოლიმპი“ — „რუსთავი“ 91:59, „არმია“ — სტუ 95:50.

**სადღეისოდ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:** „არმია“ — 16, „ქუთაისი“, „ოლიმპი“ — 13-13, „სოხუმი“ — 10, შსს აკადემია, „დინამო“ — 9-9, „სამედიცინო“ — 7, სტუ, თსუ — 5-5, „ბათუმი“ — 2, „რუსთავი“ — 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „რუსთავი“ — „არმია“, „ბათუმი“ — „ოლიმპი“ (23 მარტიძ, „სამედიცინო“ — „ქუთაისი“, სტუ — თსუ, „სოხუმი“ — შსს აკადემია (24 მარტიძ.

**გია პლატონიშვილი**

ჩოგბურთი

# ეს ფედერერია

**როჯერ ფედერერმა მეოთხედ მოიგო ინდიან-უელსის პრესტიჟული მასტერსი და ამ მაჩვენებლით საჩოგბურთო ელიტის რეკორდსმენი გახდა.**

მთლიანობაში ეს გენიალური შვეიცარიელი ჩოგბურთელის მეცხრამეტე ანალოგიური წარმატებაა, რითაც ჯონ მაკინროის და რაფაელ ნადალს გაუთანაბრდა, ლიდერობას კი კვლავაც ივან ლენდლი ინარჩუნებს 22 გამარჯვებით.

ახლა კი, მოდით, კალიფორნიულ კორტებზე გამართული გადამწყვეტი ბრძოლების შედეგებს გავეცნოთ.

**ნახევარფინალი.** ფედერერი — ნადალი 6:4, 6:3, ჯონ იზნერი (აშშძ — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთიძ 7:6, 3:6, 7:6.

**ფინალი.** ფედერერი — იზნერი 7:6, 6:3. დავძენთ, რომ ბაზელის მკვიდრის ბალანსი კარიერის განმავლობაში ასეთი გახდა: 830 მოგება, 182 წაგება.

**ქალები. ფინალი.** ვიქტორია აზარენკა (ბელარუსიძ — მარია შარაპოვა (რუსეთიძ 6:1, 6:2.



### ◎ საპენსიო ასაკი

**ქვეყანაზე სიმდიდრე არათანაბრად რომაა განაწილებული, საყოველთაოდაა ცნობილი. ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს და სტატისტიკაც ამასვე მოწმობს. სხვადასხვა მონაცემთა ერთგვარ საშუალო არითმეტიკულს თუ გამოვიყენებთ, მივიღებთ, რომ მსოფლიოში მთელი სიმდიდრის დაახლოებით სამ მეოთხედს მოსახლეობის 5-7 პროცენტი ფლობს. მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყანაში, ცხადია, განსხვავებულია, მაგრამ საერთო სურათს ეს გარემოება არ ცვლის.**

ამ მდგომარეობის მეტ-ნაკლებად გამოსწორებას, ქონებრივ-ფინანსური შესაძლებლობების ნიველირებას ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს, უმეტესწილად შესაფერისი საგადასახადო პოლიტიკის, საშუალო და მცირე ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, შეღავათიანი საბანკო-საკრედიტო მიდგომების გზით. ცალკე საკითხია მოსახლეობის სოციალური და სამედიცინო დაზღვევა, საპენსიო უზრუნველყოფა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ასევე განსხვავდება.

ამ უკანასკნელთა რეფორმირება-მოდერნიზება ყველა განვითარებულ, ასევე განვითარების გზას დამდგარ ქვეყანაში პერმანენტულად მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საპენსიო უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმზე ბევრად ნაკლებია, სამედიცინო-სადაზღვევო სისტემა კი აშკარად არადამაკმაყოფილებელია, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმება, რასაც თუნდაც რამდენიმე წლის წინანდელთან შედარებით პენსიების ზრდა მოწმობს, თუმცა კი მათი მატების ტემპს ინფლაციის ტემპებს უსაშველოდ ჩამორჩება, რაც მოსახლეობის მატერიალურ ყოფას წლიდან წლამდე აუარესებს. ყბადაღებული 100-დოლარიანი პენსიის მიღწევაც კი ბევრი ვერაფერი შვება იქნება, რადგან, როგორც ვხედავთ, ფასები „ერთ ადგილას“ არ დგანან და სულ ზემოთ მიიწევენ, „გაჩერებული“ არც თავად დოლარია – ხან იმატებს, ხან იკლებს. ანდა, სულაც, რატომ მაინცდამაინც დოლარზეა მიბმული სამომავლო საპენსიო თამასა, როცა, კანონმდებლობით, ქვეყანაში ერთადერთი საგადასახადო ერთეული ლარია, სრული ბურუსითაა მოცული.

ჩვენში ვითარება ამ მხრივ, ზოგადად, ასეთია, ამასთან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტების აზრით, საპენსიო ასაკის დადგენილი ზღვარი და ოდენობა რეალურად არსებულ ვითარებას ვერც განვითარებულ ქვეყნებში ითვალისწინებს. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე საპენსიო ასაკთან დაკავშირებული ცვლილებები. ჩვენთვის საგულისხმოა ის გარემოება, რომ საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში საჭიროა საპენსიო ასაკის გაზრდა, მაგრამ, ამასთან ერთად, სოციალური დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ასაკოვან დასაქმებულთათვის განსაკუთრებული პირობების შექმნა. თუმცა, ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუმცა OECD-ს ქვეყნებში საპენსიო ასაკი რეფორმების შემდეგ 62-დან (საფრანგეთი, სლოვაკეთი) 67-68 წლის ასაკამდე (შესაბამისად, აშშ, დიდი ბრიტანეთი) მერყეობს, დღესდღეობით ქალების საპენსიო ასაკი, საშუალოდ, 61,8, ხოლო მამაკაცების – 62,9 წელია. OECD ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მთელ რიგ მიზეზთა გამო, 2050 წლისთვის განვითარებულ ქვეყნებში პენსიაში გასვლის ასაკი ორივე სქესისთვის 65 წლამდე გაიზრდება.



# ჟამი შრომისა, ჟამი დასვენებისა...

ამასთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმას, რომ საქართველოში საპენსიო ასაკთან დაკავშირებით ქალებისა და მამაკაცთა საშუალო საპენსიო ასაკთან მიმართებაში სხვაგვარი თანაფარდობაა: თუ ქალთა საპენსიო ასაკის თამასა OECD ქვეყნების საშუალოსაზე 1,8 წლით დაბალია (60 წელი), მამაკაცების საპენსიო ასაკი უფრო მეტად – 2,1 წლით მაღალია (65 წელი) და ბოლო დროს გავრცელებული არაოფიციალური ცნობით, ლაპარაკია მის 67 წლამდე გაზრდის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საქართველო არ არის იმ დონის ეკონომიკური განვითარების ქვეყანა, რომ ამ მხრივ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს „ეჭიდაოს“, თანაც ასაკსაც თავი რომ დავანებოთ, ჩვენში პენსიების ოდენობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომ ამის თაობაზე ლაპარაკს აღარც გავაგრძელებთ, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ არაერთგზის გვითქვამს. სიტყვას მოჰყვა და შედარებისთვის ვიტყვით, რომ საპენსიო ასაკის თამასა საქართველოზე დაბალია სლოვენიასა და ესტონეთში (63 წელი), მაღალია აგრეთვე გერმანიაში, ისლანდიაში და ისრაელში (67 წელი) და ასეთივეა იტალიაში, იაპონიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში, ირლანდიასა და სხვაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას ამ მხრივ „სწორება“ ისეთ ქვეყნებზე აქვს აღებული, რომელთა ეკონომიკებთან, შრომითს კანონმდებლობასთან, სოციალურ უზრუნველყოფასთან და ა.შ. ეროვნულის შედარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ამასთან აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ OECD სპეციალისტები სულაც არ იძლევიან რჩევას, რომ ხალხმა კიდევ რამდენიმე წელი ზედმეტად იმუშაოს. ისინი ანგარიშს უწევენ იმას, რომ საპენსიო ასაკის გაზრდა ხალხში უკმაყოფილებას და მასობრივ საპროტესტო აქციებსაც იწვევს. ამდენად, მათი აზრით, საპენსიო ასაკის გაზრდასთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია ხანში შესულთათვის განსაკუთრებული პირობების, მათ შორის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შექმნა, კვალიფიკაციის დონის შენარჩუნებაში სათანადო დახმარების გაწევა, სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ა.შ. როგორც ორგანიზაციის ექსპერტები აცხადებენ, მიუხედავად გავრცელებული აზრისა, თითქოს იმ ქვეყნებში, სადაც ასაკოვანი ადამიანები განაგრძობენ მუშაობას და ამით „გზას ულობავენ“ ახალგაზრდებს, ეს ასე არ არის, იქ შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას ახალგაზრდებიც მშვენივრად ახერხებენ, მაგრამ მრავალ დამსაქმებელს სამუშაოდ უფრო მეტი ხალისით მაინც ახალგაზრდა სპეციალისტები აჰყავს. ამას გარკვეული გამართლებაც აქვს: მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაკლებად კვალიფიციურნი არიან, სამაგიეროდ გასამრჯელოსაც ნაკლებს უხდიან, მაგრამ ამით შესაბამისად, შესრულებული სამუშაოს ხარისხი ზარალობს.

ბოლო დროს ჩვენში დამკვიდრებული პრაქტიკით, როცა ასაკოვანი სპეციალისტების „სახლში გაშვება“ (ახალ სამსახურში მიღებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!) ლამის დასაქმების სახელმწიფო სექტორის არაოფიციალური, „გაუხმაურებელი“ სტრატეგიაა, ამის კომენტირებას არავითარი აზრი არა აქვს. თუმცაღა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ თანდათან ეს მანკიერი პრაქტიკა თითქოს წარსულს ბარდება, რასაც მაღალი ტრიბუნებიდან გამოთქმულმა მოსაზრებებმა შეუწყო ხელი. თუ რამდენად აისახება ყოველივე რეალურ ცხოვრებაში, ეს ახლო მომავალში გახდება ნათელი.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ◎ მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა...

# ნაციონალებისთვის პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია სხვადასხვა უწყებები ყოფილა

**თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, 2008 წლის 14 მაისს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ ხელისუფლებამ ხელშეკრულება გააფორმა. მაგრამ, როგორც ირკვევა, წყალმომარაგების სისტემის გასხვისებისას ხელისუფლებამ დიდი მაქინაციები ჩაატარა.**

**როგორც ა/ო „მწვანე ალტერნატივა“ ამტკიცებს, საქართველოს პრეზიდენტმა, მთავრობამ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოუცდელ და საიდუმლო წარმომავლობის მქონე კერძო კომპანიას მისცეს უფლება საზოგადოებასთან ყოველგვარი ანგარიშსწორების გარეშე საკუთარ კომერციულ ინტერესებზე იზრუნოს. ქვეყნის მოქალაქეებისათვის კი არათუ გადაწყვეტილების მიღების პროცესია დახურული, არამედ, თვით გადაწყვეტილებებია გასაიდუმლოებული. ხელშეკრულებას ჩვენი მხრიდან, პრეზიდენტმა მოაწერა ხელი. 2009 წლის 22 დეკემბერს მოხდა წინა წლის ხელშეკრულების გადახედვა, რითაც შეიცვალა პირობები. მასში ისეთ სერიოზულ ცვლილებებზეა ლაპარაკი, როგორიცაა ვალდებულებების შესრულების გადავადება და ტარიფების ზრდა.**

#### ვალდებულებების გადავადება

**სააკაშვილის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყალმომარაგების სამუშაოები 2011 წლისთვის უნდა დამთავრებულიყო.** როგორც „ჯორჯიან უოთერ ფაუერის“ გენერალური დირექტორი იორგ მათისი აცხადებს, შესული ცვლილებებით თბილისის ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში უწყვეტი წყალმომარაგების ვადამ 2013 წლამდე გადაიწია. ასეთ განცხადებას, ცხადია, გენდირექტორი ვერ გააკეთებდა, რომ არ ყოფილიყო პრეზიდენტის ხელმოწერა სათაო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებზე.

#### ტარიფი

**დადებული ხელშეკრულებით 2010-13 წ.წ. ტარიფი უნდა ყოფილიყო სულზე არა უმეტეს 2.95 ლარისა. გაზრდის უფლება კომპანიას, მხოლოდ 2014 წლიდან ჰქონდა (არა უმეტეს 3,3 ლარისა).**

მაგრამ 2010 წლის 24 ნოემბერს სემეკმა მიიღო დადგენილება „ჯორჯიან უოთერ ფაუერის“ გაუმრიცხველიანებელი მომხმარებლისათვის ტარიფის ერთ სულ მოსახლეზე 2.40 ლარიდან 3.20 ლარამდე გაზრდის თაობაზე. გამორიცხულია, რომ თავდაპირველად ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებებზე, ამ შემთხვევაშიც არ ყოფილიყო პრეზიდენტის ხელმოწერა.

#### ჯიუტად გასაიდუმლოებული პრეზიდენტის განკარგულებები

**როგორც მკითხველი შეამჩნევდა, გადავადებულ ვალდებულებებზე, ტარიფების ცვლილებებზე ყველგან მითითებული გვაქვს, რომ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის ბრძანებულება, გადაწყვეტილება და ა. შ. მხოლოდ ვარაუდებით საუბარი იმის გამოა, რომ სათაო ხელშეკრულებას ხელს აწერს პირადად პრეზიდენტი. აქედან გამომდინარე, მასში შესულ ნებისმიერ ცვლილებას სააკაშვილის გარდა ხელს ვერავინ მოაწერდა და მოაწერს. მაგრამ საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ყველა ცვლილება გასაიდუმლოებულია და მისი საჯაროობის მიუხედავად ხელმიუწვდომელია საზოგადოებისათვის.**

„მწვანე ალტერნატივამ“ 2010 წლის დეკემბერში სცადა 2009 წელს, შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედთან“ დადებულ ხელშეკრულებაში პრეზიდენტის ხელმოწერილი დოკუმენტის ასლის მოპოვება. ამის შესახებ თხოვნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეთხოვა, რომელმაც თხოვნის დოკუმენტი პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადაუგზავნა. პასუხი არ გაუციათ, შემდეგ ა/ო ასლზე მოთხოვნა უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადაუგზავნა. მოთხოვნა ისევ უპასუხოდ დარჩა. კანონის დარღვევისათვის სასამართლოს მიმართეს.

მოსამართლე თამარ ონიანი დაეთანხმა პრეზიდენტის წარმომადგენლის განმარტებას, რომ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური პირი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ადმინისტრაციული უწყებაა. მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლით საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ხოლო პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №5762 ბრძანებულებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს პრეზიდენტის საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის ფუნქციაა. პრეზიდენტის თავის დროზე გამოცემული ბრძანება 3 ქალაქის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების შესახებ მართლაც რომ საშური საქმეა, მაგრამ სპეციალისტები მისი ყოველი ახალი ცვლილებების გასაიდუმლოებაში სულ სხვა მიზეზს ხედავენ. თავის დროზე უცნობ და გამოუცდელ „მალტიპლექსს“ უპირატესობა წყლის დაბალი ტარიფის, მაღალი გასაყიდი ფასისა და დიდი საინვესტიციო თანხის შეთავაზების გამო მიენიჭა. მაგრამ შემდგომ დოკუმენტაციით ნათლად გამოჩნდა, როგორ მცირდებოდა საწარმოების გასაყიდი ფასი, საბანკო გარანტიები და განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობა. ამ კომპანიისათვის სასათბურე პირობები სულ უფრო უმჯობესდება პრეზიდენტის ყოველი ახალი განკარგულების გამოცემისას (ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შემდგომ). ყველა მათგანი მკაცრად გასაიდუმლოებულია.

ექსპერტთა აზრით, რეჟიმმა გამჭვირვალე იუსტიციის სახლებისა და პოლიციის რაიონული შენობების პარალელურად უნდა იზრუნოს ხალხის ზურგს უკან და საზიანოდ მიღებული პრეზიდენტის გადაწყვეტილებების საჯაროობასა და გამჭვირვალობაზეც.

**ზაზა ბილიხოძე**

### საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

**2012 წლის 29 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ №15 (თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოდილაურის ტერიტორიაზე „ეკლარის“ კირქვის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება) ობიექტზე აუქციონში მონაწილების მიღების თაობაზე პირველი განცხადება შემოვიდა 2012 წლის 19 მარტს, აუქციონი გაიმართება ს.ს.ი.პ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში ა/წ 22 მარტს 12 საათზე. აღნიშნულ ობიექტზე განცხადებების მიღება შეწყდება აუქციონის გამართვის წინა სამუშაო დღეს.**

### ◎ ინფორმაცია

#### თურქეთში საქართველოს მოქალაქეს 21-დან 91 წლამდე პატიმრობა ემუქრება

**თურქულ ქალაქ ადანაში ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის ორგანიზების ბრალდებით დაკავებულია ცხრა ეჭვმიტანილი, მათ შორის ერთი ქართველია.**

**გამოძიების ინფორმაციით, ეჭვმიტანილები მოტყუების გზით საქართველოდან ჩაყვანილ ქალებს ნარკოტიკ-დამოკიდებულებებს ხდიდნენ და შემდგომ პროსტიტუციას აიძულებდნენ.**

ინტერპრესნიუსი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის გივი გავარდაშვილის დედა**

**ნათელა გიორგის ასული გიგაური**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ჯანმრთელობის ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან**

**ჯემალ შუბლაძის**

**გარდაცვალებას, თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს ლუიზა მჟავიას, შვილებს და შვილიშვილებს.**

ტესტი

# ფლობთ ურთიერთობის ხელოვნებას?

როდესაც ვიწყებთ სამუშაო ადგილის ძებნას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველთვის როდი არსებობს სამუშაოზე მიმღებთან პირადი კონტაქტის შესაძლებლობა. ჩვენზე პირველი შთაბეჭდილება იქმნება იმის წყალობით, თუ როგორ და რას ვლაპარაკობთ ტელეფონით. და თუ შეძელით უმალვე შეგექმნათ თქვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება — ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია წარმატების გზაზე. როდესაც უპასუხებთ ტესტის შეკითხვებს, გაიგებთ ფლობთ თუ არა სატელეფონო საუბრების წარმოების ხელოვნებას.



1. ყოველთვის ესალმებით მას, ვინც იღებს ტელეფონს?
ა) დიახ; ბ) არა.

2. თუ ცდილობთ, რომ ილაპარაკოთ მკაფიოდ, გასაგებად და არც ძალიან სწრაფად?
ა) დიახ; ბ) არა.

3. თუ ხდება ხოლმე, რომ ტელეფონით საუბრის დროს რაღაც სხვა საქმეს აკეთებდეთ?
ა) არა; ბ) დიახ.

4. საუბრის დროს ყოველთვის გაქვთ წინ ქაღალდი და ფანქარი?
ა) დიახ; ბ) არა.

5. თუ აქცევთ ყურადღებას იმას, რომ საუბრის დროს იყოს სიჩუმე?
ა) დიახ; ბ) არა.

6. თუ ხდება ხოლმე, რომ არ გყოფნით მოთმინება, ყურადღებით მოუსმინოთ მოსაუბრეს?
ა) არა; ბ) დიახ.

7. მნიშვნელოვანი ზარის წინ თუ განსაზღვრავთ დეტალებსაც კი იმის შესახებ, რაზეც უნდა ისაუბროთ?
ა) დიახ; ბ) არა.

8. ყოველთვის თუ გაქვთ თან საქმიანი საუბრისთვის საჭირო მასალები (მაგალითად, წინა სამუშაო ადგილების სია მოვალეობათა ჩამონათვალით)?
ა) დიახ; ბ) არა.

9. თუ გაქვთ ჩვეულებად საუბრიდან მოკლე დროის შემდეგ გადაურეკოთ იმისთვის, რომ რაღაც დააზუსტოთ?
ა) არა; ბ) დიახ.

10. თუ ერიდებით დარეკვას უხერხულ დროს?
ა) დიახ; ბ) არა.

11. თუ კარგავთ მოთმინებას ჩვეულებრივად, როდესაც საუბრის დროს რაღაც არასასიამოვნოს გეუბნებიან?
ა) არა; ბ) დიახ.

12. თუ შეგიძლიათ, რომ საუბრის დროს საკითხის განხილვისთვის დახარჯოთ სიტყვებისა და დროის მინიმუმი და ამასთანავე არ გამოჩნდეთ უტაქტოდ?
ა) დიახ; ბ) არა.

13. როდესაც ემშვიდობებით მოსაუბრეს, ყოველთვის უხდით მადლობას საუბრისთვის?
ა) დიახ; ბ) არა.

**ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 2 ქულა, პასუხზე „ბ“ – 0 ქულა. შეაჯამეთ და გააკეთეთ დასკვნა**

**0-10 ქულა.** ტელეფონით საქმიანი საუბრის წარმოება — ეს არის ხელოვნება და თქვენ მოგიწევთ ზოგიერთი რამის სწავლა. იმედი გვაქვს, როდესაც ტესტის შეკითხვებს უპასუხებდით, თქვენ გაიკეთეთ სწორი დასკვნები, რომელთა წყალობითაც თქვენი სატელეფონო საუბრების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

**12-18 ქულა.** თქვენ უფრო გულდასმით უნდა მიუდგეთ საქმიან სატელეფონო ურთიერთობას. წინასწარვე მოიფიქრეთ, თუ რა გინდათ, უთხრათ მოსაუბრეს და რა ჰკითხოთ მას. ჩაინიშნეთ ძირითადი პუნქტები ქაღალდზე, რომ საუბრის დროს არ გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი დეტალები. ნუ დაიზარებთ ჩაიწეროთ ინფორმაცია, რომელიც საუბრის პროცესში მიიღეთ. განმეორებითი ზარი მსგავსი შეკითხვებით — უკიდურესად არასასურველია. ის დაბადებს ეჭვს თქვენ აკურატულობასა და ყურადღებიანობაზე. და გახსოვდეთ, რომ სატელეფონო საუბარს შეუძლია შექმნას ხელსაყრელი ატმოსფერო პირადი შეხვედრისთვის.

**20-26 ქულა.** თქვენ შესანიშნავად ფლობთ სატელეფონო საუბრების წარმოების ხელოვნებას, კარგად უწევთ ანგარიშს იმას, რომ სატელეფონო საუბარი — ეს მნიშვნელოვანწილად თქვენი სავიზიტო ბარათია.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### „ხელისუფლების შეიარაღებული ბანდფორმირებები უკვე ყველა ქალაქსა და სოფელშია“

— აცხადებს „დაიცავი საქართველოს“ წევრი კახა მიქაია, — ზოგ სოფელში ოცკაციანი, ზოგშიც 40-იანი და კარგად შეიარაღებული ხალხია. მაგალითად, სოფელ შამგონაში არის 80-კაციანი ჯგუფი, რომელსაც ცნობილი კრიმინალი, ერთ დროს ზვიადისტი და შემდეგ სოდ-ის მუშაკი დემიკო გაბუნია ხელმძღვანელობს.

„კვირის პალიტრა“.

### „ახლა მე დავამტკიცებ, რომ გამსახურდია მოკლეს“

— ამბობს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დასავლეთ საქართველოს ომონის უფროსი, შემდეგ კი მხედრიონელებთან დაახლოებული ქუთაისელი რამაზ იაშვილი და ზვიადისა და ჯაბას შესახებ სკანდალურ ამბებს ყვება, საუბრობს ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზეც.

„ქრონიკა“.

### ინტერვიუ ჯონდი ბაღათურიასთან

— თუ სააკაშვილს გულში აქვს ჩარჩენილი ჩემი ბოლმა, „რუსთავი-2“-ში კიდევ ერთხელ შევხვდები და დოკუმენტურად დავუმტკიცებ, რომ უკანონოდ არის გამდიდრებული... რასაც სააკაშვილის კონტროლის პალატა „ქართული ოცნებისა“ და სახალხო კრების რიგით წევრების მიმართ ახორციელებს, პოლიტიკური რეპრესიების კლასიკური ნიმუშია, — ამბობს „ქართული დასის“ ლიდერი.

„ასავალ-დასავალი“.

### ჯარისკაცს, რომელიც ავღანეთში წასვლაზე უარს იტყვის, 14 ათასი ლარით აჯარიმებენ

გადამდგარი პოლკოვნიკი გიორგი გეწაძე ასეთ განცხადებას აკეთებს: — თქვენ იცით, რა უნდათ ავღანელებს? თუ ფიქრობთ, რომ იქ დემოკრატიის დამყარება სურთ, გულუბრყვილო ყოფილხართ. ავღანეთი ყოველწლიურად აწარმოებს ტრილიონი დოლარის ყაყაჩოს პროდუქციას, ანუ ნარკოტიკს. სწორედ ამ ბიზნესის კონტროლის სურვილი დგას დემოკრატიის დამყარების სურვილის უკან.

„ვერსია“.

### დასავლეთ საქართველოს კალიუმის ციანიდით მასობრივად მოწამვლა ემუქრება

ზესტაფონსა და ქუთაისს შორის მდებარე მექანიკურ ქარხანაში ასობით კილოგრამი კალიუმის ციანიდი ინახება. შენობა თოვლმა ჩაანგრია და იქ მოთავსებული საშიში ფხვნილიც თან მოიყოლა. სახიფათო ნარჩენების გატანას ქარხნის ხელმძღვანელობა და გარემოს დამცველები წლებია ითხოვენ, თუმცა სახელმწიფო სტრუქტურებში ამ საკითხზე, ჯერ არ მუშაობენ.

„რეზონანსი“.

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 9-62-77;
599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

**საბჭოთა** კავშირი, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი სახელმწიფო კი იყო, მაგრამ ბავშვებს სკოლის ასაკიდანვე ასწავლიდნენ ხელყუმბარის სროლას.

* * *

**თავაზიანობა** ისეთი იშვიათობა გახდა, რომ ძალიან ბევრს იგი ფლირტი ჰგონია.

* * *

**საინტერესოა**, თუ შეიძლება, რომ ადამიანი გახდეს ბუასილის საწინააღმდეგო სანთლების სარეკლამო კამპანიის სახე?

* * *



**ყველაზე** კარგი შინაური ცხოველები კოლოები არიან: არც გამოკვება სჭირდებათ და არც — დამარხვა.

* * *

**ერთხელაც** მოსწყინდა იესო ქრისტეს ცაში ყოფნა და გადაწყვიტა, სწვეოდა დედამიწას და ჩვეულებრივი მაყურებლის რანგში ირლანდიაში ფეხბურთის მატჩს დასწრებოდა. იყიდა ბილეთი და მოკალათდა სტადიონის ტრიბუნაზე. დაიწყო მატჩი კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. კათოლიკეებმა გაიტანეს გოლი — იესო გახარებულია, ტაშს უკრავს. პროტესტანტებმა გოლითვე უპასუხეს — იესო კვალავაც ხარობს და არც ტაშს იშურებს.

— თუ კაცი ხარ, გვითხარი, ვის მხარეზე ხარ, კათოლიკეებისა თუ პროტესტანტებისა? — ეკითხებიან მას ამით გაკვირვებული გარშემო მყოფი გულშემატკივრები.

— მე ლამაზი ფეხბურთის მხარეს ვარ, — უპასუხებს იესო.

გულშემატკივრები გაკვირვებით უყურებენ ერთმანეთს, მერე კი ერთი მათგანი ხმადაბლა დაასკვნის: — ყველაფერი გასაგებია, ის ათეისტია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24